საქართველოს პროკურატურის

2021 წლის საქმიანობის ანგარიში

13 მაისი 2022 წელი

სარჩევი

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები 6
სისხლისსამართლებრივი დევნა 6
სრულწლოვანთა განრიდება 10
აღკვეთის ღონისძიებები 12
სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა 19
პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა რაოდენობა 27
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება 28
პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო 39
გამოძიების დაწყება 39
სისხლისსამართლებრივი დევნა 42
განაჩენები 44
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგები 45
ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა 47
კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა 47
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია 55
არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა 60
იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება 63
ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა 65
ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა 66
ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა 66
შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა 70
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა 73
ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახური დანაშაული 75
სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები 80
ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმეთა განხილვა 87
საპროკურორო ზედამხედველობა და ანალიტიკური საქმიანობა 87
სახელმძღვანელო მითითებები 87
ანალიტიკური საქმიანობა 88

Bench & Bar 89

ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება 90

გენდერული ორგანიზაციული პოლიტიკის გაუმჯობესება 91

რანგირების სისტემა 92

სტაჟიორთა კონკურსი 93

პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება 94

პროკურატურის შესაძლებლობების გაძლიერება 99

თანანმშრომელთა შრომითი კმაყოფილების კვლევა 100

სოციალური გარანტიები და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება 101

გენერალური ინსპექციის მუშაობა 102

სათათბირო ორგანოები 103

კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო 104

სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო 104

ციფრული ტრანსფორმაცია **105**

საერთაშორისო თანამშრომლობა 106

GRECO-ს ანგარიში 107

გაეროს დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის რეგიონთაშორისი ინსტიტუტის (UNICRI) კვლევა 107

ონლაინ მომსახურების მომწოდებლებთან თანამშრომლობა 108

ექსტრადიცია 108

საერთაშორისო სამართლებრივი დახმარება 110

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია 110

საზოგადოებასთან ურთიერთობა 111

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური 111

საჯარო ინფორმაციის გაცემა 114

საზოგადოებასთან ურთიერთობა და ინფორმაციის გავრცელება 115

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათან თანამშრომლობა 116

საპროკურორო საბჭოს რეკომენდაციების შესრულება 118

სამომავლო გეგმები 120

2021 წელი საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანი წარმატებების წელი იყო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუცია უახლოვდება განვითარების სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნებს. ,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე-მუხლით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საქართველოს პროკურატურის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლის წესის შესაბამისად წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს ინფორმაციას სისტემისთვის პრიორიტეტულ ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა პროკურატურის განვითარების ახალი სტრატეგია, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები, ცალკეულ დანაშაულებზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება, ანალიტიკაზე ორიენტირებული ორგანიზაციული მართვის მოდელი და ციფრული ტრანსფორმაცია, თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, მათი მოტივაციის გაძლიერება, მათთვის მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესება, საზოგადოების პროაქტიული ინფორმირება და ნდობის ამაღლება, საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, წარმოდგენილი ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

2021 წელს საქართველოს პროკურატურისთვის ცალკეულ დანაშაულებთან ბრძოლის თვალსაზრისით, კვლავ პრიორიტეტული იყო ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახური დანაშაული, რაც აისახება მსხვერპლთა მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვიანობის ზრდაში და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაღალ მაჩვენებლებში. საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს ასევე წარმოადგენს: არასათანადო მოპყრობის, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ზოგადად ტრანსნაციონალური დანაშაულების, კორუფციული დანაშაულის, ტრეფიკინგის, ორგანიზებული დანაშაულის, სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ პროცესში ეფექტიანი სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელების პარალელურად მთავარ საზრუნავს დაზარალებულთა უფლებების დაცვა და სამართალწარმოების პროცესში მათი სათანადო ჩართულობა წარმოადგენს. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია ბრალდებულთა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების დაცვა. მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ასევე სამართალწარმოების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების სათანადოდ დაცვა.

ბოლო წლებში, საქართველოს პროკურატურამ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის დანერგვისთვის, რომლის მთავარი მიღწევა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების ეფექტიანი გამოყენებაა. ამ რეფორმებმა ბოლო წლებში გაზარდა არასრულწლოვანთა და 18-21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელი სისხლისსამართლებრივ დევნასთან მიმართებით და ეს მზარდი ტენდენცია 2021 წელსაც შენარჩუნებული იქნა.

საქართველოს პროკურატურის მიზანი არის დაზარალებულთა კმაყოფილების ზრდა. შესაბამისად სისხლის სამართლის პოლიტიკა სრულად არის მორგებული დაზარალებულთა საუკეთესო ინტერესებზე. არცერთი სისხლის სამართლის საქმე არ სრულდება დაზარალებულების ინფორმირებისა და კონსულტაციის გარეშე. ამ ეტაპზე არსებული რიგი გამოწვევების დასაძლევად საჭირო კონკრეტული გეგმები გაწერილი იქნა პროკურატურის ახალ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.

საქართველოს პროკურატურისთვის წარმატებული საქმიანობის აუცილებელი კომპონენტია ინოვაციური ციფრული პროდუქტების და ელექტრონული სისტემების დანერგვა, კომპლექსური ანალიტიკური კვლევების წარმოება, რომლის შედეგებსაც უნდა ეფუძნებოდეს ინსტიტუციის ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილება და ფუნდამენტური რეფორმა.

საქართველოს პროკურატურისთვის სისტემის გამჭირვალობა არის მნიშვნელოვანი ფაქტორი პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის გასამყარებლად. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული და 2021 წელს პროაქტიულად გავრცელებული ინფორმაციების, განცხადებების და ჩატარებული ბრიფინგების რაოდენობა უპრეცენდენტოდ მაღალი იყო.

საქართველოს პროკურატურისთვის 2021 წელი მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით. გასულ წელს პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის ევროკავშირთან, ევროპის საბჭოსთან, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტთან (DOJ), გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციასთან (IAP), ევროჯასტთან (EUROJUST), ევროპის პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოსთან (CCEP) და საზღვარგარეთის ქვეყნების პროკურატურებთან. აღნიშნული თანამშრომლობა შეეხებოდა, როგორც ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ეფექტიან და კოორდინირებულ ბრძოლას, ასევე ზოგადად პროკურატურის ინსტიტუციური გაძლიერებისა და რეფორმირების საკითხებს, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას.

უნდა აღინიშნოს, რომ კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო, ისევე როგორც მთელი მსოფლიო, საქართველოს პროკურატურაც 2020-2021 წლებში ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, თუმცა მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა, საქართველოს პროკურატურამ მოახერხა არსებულ რეალობასთან ადაპტირება და საქმიანობის ეფექტიანობის არამხოლოდ შენარჩუნება, არამედ გაზრდაც, რასაც საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი ეს ანგარიშიც ადასტურებს.

სისხლისსამართლებრივი დევნა

2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 19744 პირის მიმართ.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 126[1] და 151-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მუხლობრივ მაჩვენებლებში 2019 წლიდან 2021 წლის ჩათვლით პირველ და მეორე ადგილზეა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე და 126[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით
(2021 წელი)



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით
(2020 წელი)



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით (2019 წელი)



სრულწლოვანთა განრიდება

პროკურატურას განსაკუთრებული წვლილი შეაქვს კანონის უზენაესობის დაცვაში. პროკურორის თითოეული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს არამარტო ბრალდებულსა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებზე, არამედ საზოგადოებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პროკურატურა კანონით დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში აანალიზებს, არის თუ არა საჯარო ინტერესში დევნის დაწყება და გარკვეული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ პრიორიტეტულად ხდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდების გამოყენება.

განრიდება ძირითადად გამოყენებულია ნაკლებად მძიმე კატეგორიის, გაუფრთხილებელი, არაძალადობრივი დანაშაულების ჩამდენი სრულწლოვნების (21 წლის ზევით ასაკის) მიმართ. განრიდების მექანიზმის გამოყენებისას, უმთავრესად მხედველობაში მიიღება დანაშაულის ხასიათი, დამდგარი შედეგი, დაზარალებულის პოზიცია, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენის პიროვნული მახასიათებლები და სხვა გარემოებები, რომლებიც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს ახასიათებს.

განრიდება, როგორც წესი, არ გამოიყენება ისეთ დანაშაულებზე, რომელთა ჩადენამ გამოიწვია მძიმე და გამოუსწორებელი შედეგი.

სრულწლოვან (21 წლის ზევით) განრიდებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი წლების მიხედვით



2021 წელს განრიდდა 1523 სრულწლოვანი (21 წელს ზევით), მათგან 1345 (88.3%) პირი – ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო 178 (11.7%) პირი – მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის.

2021 წელს, 2020 წელთან შედარებით სრულწლოვან (21 წლის ზევით) განრიდებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი გაზრდილია 539 ერთეულით (55%).

ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები, რომლებზეც ყველაზე ხშირად გამოიყენება განრიდების მექანიზმი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით ასე ნაწილდება[1].

ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები, რომლებზეც ყველაზე ხშირად იქნა გამოყენებული განრიდების მექანიზმი (2021 წელი)



მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე განრიდება ყველაზე ხშირად შემდეგ მუხლებზე გამოიყენება:

მძიმე კატეგორიის დანაშაულები, რომლებზეც ყველაზე ხშირად იქნა გამოყენებული განრიდების მექანიზმი (2021 წელი)



აღკვეთის ღონისძიებები

საქართველოს პროკურატურის მიერ 2015 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, სულ მოთხოვნილი საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით დამუშავდა აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული მონაცემები.

დათვლილი იქნა საქართველოს პროკურატურის მიერ საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შესახებ წარდგენილი შუამდგომლობები, რომელიც განხილულ იქნა სასამართლოს მიერ.

სასამართლოს მიერ განხილული აღკვეთის ღონისძიებების შუამდგომლობების რაოდენობა და საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა თანაფარდობა შემდეგია:

სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობებიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნა



საქართველოს პროკურატურის მიერ ასევე დამუშავდა პროკურატურის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობები, რომლებიც არ იქნა სასამართლოს მიერ განხილული ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების გამო.

სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების გაფორმების გამო განუხილველად დატოვებული შუამდგომლობებიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების შესახებ მონაცემები შემდეგია:



სასამართლოს მიერ განხილული და ასევე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზეზით განუხილველად დატოვებული შუამდგომლობების საერთო რაოდენობიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:



ანგარიშისთვის ასევე დამუშავდა 2015-2021 წლებში განრიდების სტატისტიკური მაჩვენებლები. კერძოდ, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა რაოდენობას დაემატა იმ პირთა რაოდენობა,

რომელთა მიმართაც განრიდების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გარეშე, ასევე დაემატა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა განრიდებამდე დაიწყო, თუმცა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით პროკურატურას სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების შეჯამების შედეგად საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:



გაანალიზდა ოჯახურ და სხვა დანაშაულებზე საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებლები, როგორც სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობების, აგრეთვე იმ შუამდგომლობების მიხედვით, რომლებშიც ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და შესაბამისად, განუხილველი დარჩა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობა.



ანალიზის შედეგად დგინდება, რომ 2014-2020 წლებში ოჯახურ დანაშაულებზე მოთხოვნილი პატიმრობის პროცენტული მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო 2021 წელს გასულ წელთან შედარებით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი მცირედით შემცირდა. რაც შეეხება სხვა დანაშაულებს, 2014-2018 წლებში სხვა დანაშაულებზე შეინიშნებოდა პატიმრობის მოთხოვნის კლება, 2018-2020 წლებში გამოვლინდა მცირე ზრდის ტენდენცია, ხოლო 2021 წელს გასულ წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი კვლავ შემცირებულია.





რაც შეეხება პროკურორის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობათა დაკმაყოფილების მაჩვენებელს, 2010 წლიდან 2021 წლის ჩათვლით პერიოდში დინამიკა შემდეგია:


მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი
დაკმაყოფილდა
დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების სხვა სახე)
არ დაკმაყოფილდა (დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე)
2010 წელი (სულ 14960)
99.2%
0.8%
0.01%
2011 წელი (სულ 13309)
99.9%
0.1%
0.0%
2012 წელი (სულ 9128)
98.3%
1.7%
0.1%
2013 წელი (სულ 12912)
85.1%
13.7%
1.2%
2014 წელი (სულ 14036)
76.4%
20.8%
2.8%
2015 წელი (სულ 12920)
71.5%
24.7%
3.8%
2016 წელი (სულ 10907)
73.5%
23.6%
2.8%
2017 წელი (სულ 9710)
83.6%
14.2%
2.2%
2018 წელი (სულ 10092)
85.4%
13.6%
0.9%
2019 წელი (სულ 11170)
80.6%
18.2%
1.2%
2020 წელი (სულ 9662)
75.0%
22.4%
2.5%
2021 წელი (სულ 11574)
78.7%
19.5%
1.8%

2010-2021 წლებში მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი შემდეგია:



სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

2021 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენი გამოტანილი იქნა 14065 პირის მიმართ.



2021 წელს 14065 პირის მიმართ გამოტანილი განაჩენიდან 65,9% დასრულებულია საპროცესო შეთანხმებით.

2009 წლიდან 2021 წლის ჩათვლით არსებითად და საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ საქმეთა დინამიკა შემდეგია:



მოცემული სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ 2014-2021 წლებში საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი წლების მიხედვით არსებითად არ განსხვავდება და ავლენს მცირე ზრდის ან კლების ტენდენციას. 2021 წელს წინა წელთან შედარებით შეინიშნება საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ საქმეთა 2.4 %-იანი მატება.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელსაც, წინა წლების მსგავსად, გაზრდილია გამოძიების ადრეულ ეტაპზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელი. პოზიტიურად აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 2014-2021 წლებში მუდმივად მზარდი იყო ადრეულ ეტაპზე საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი. საპროცესო შეთანხმების სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე (ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე) გაფორმება და ამის საფუძველზე დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა ხელს უწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, ასევე ზოგავს როგორც პროკურატურის, ისე სასამართლო სისტემის ძალიან დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსს. ამასთან, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას დაზარალებული აღარ

არის ვალდებული გამოცხადდეს სასამართლო პროცესზე და ჩვენების მიცემისას კიდევ ერთხელ განიცადოს დანაშაულის შედეგად მიღებული სტრესი.



2021 წელს არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენებიდან 9,1%-ის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 4 %-ის მიმართ – ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი.

გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით ამგვარია:



საპროცესო შეთანხმების დადებისას, სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელმა 2021 წელს შეადგინა 50,3%.

საპროცესო შეთანხმების დადებისას ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი



რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმის ოდენობას, 2021 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 23733873 ლარი. ეროვნულ ვალუტაში გამოსახული მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ბიუჯეტში ჩარიცხული ჯარიმის ოდენობა (ლარი)



2021 წელს საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას, სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელმა შეადგინა 15,8%:

საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:

საპროცესო შეთანხმების დადებისას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი



საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთა 2021 წელს გამოყენებულ იქნა ბრალდებულთა- 14,4% -ის მიმართ, ეს მონაცემები წლების მიხედვით კი შემდეგია:

საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



არსებითი განხილვისას, თავისუფლების აღკვეთა 2021 წელს გამოყენებულ იქნა ბრალდებულთა - 38,%-ის მიმართ, ეს მონაცემები წლების მიხედვით კი შემდეგია:



მკაცრია სისხლის სამართლის პოლიტიკა ძალადობრივი დანაშაულების ჩამდენი პირების მიმართ, ხოლო არსებითი განხილვისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:



❖ მოიცავს მცდელობებს და დამთავრებულ დანაშაულებს

მიმდინარე წელს, ყაჩაღობის ჩამდენი პირების მიმართ, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 94%-ს. აღსანიშნავია, რომ სულ ყაჩაღობის მუხლით მსჯავრდებულია 120 პირი, მათგან, თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულია 113 მსჯავრდებულის მიმართ, ხოლო დანარჩენი 7 პირიდან 7-ვე იყო არასრულწლოვანი,

რომელთაგან 4-ის მიმართ სასამართლოს მიერ განაჩენით სასჯელის სახედ და ზომად გამოყენებულია პირობითი მსჯავრი, ხოლო 3 პირის მიმართ - ჯარიმა.

პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა რაოდენობა

სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული არიან ბრალდებულები, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვთ პატიმრობა და მსჯავრდებულები, რომლებსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მისჯილი აქვთ სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა.

სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა რაოდენობა კი წლების მიხედვით ასეთია. (მონაცემები მოიცავს წლის ბოლო თვის ბოლო დღის რაოდენობას).

ბრალდებულების/მსჯავრდებულების საერთო რაოდენობა



- 2010 და 2011 წლებში ქალი ბრალდებულების და მსჯავრდებულების შესახებ მონაცემები არ მოიპოვება.

როგორც მონაცემებით ჩანს, 2010-2012 წლების შემდეგ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ, სრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირთა რაოდენობა ფაქტიურად 50-60% არის შემცირებული.

რაც შეეხება, პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ არასრულწლოვან პირებს, მონაცემები არის შემდეგი:



ამდენად, წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რამდენად არის შემცირებული ბრალდებული პატიმრების და თავისუფლებააღკვეთილი პირების რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

ბავშვზე მორგებული და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პროკურატურის მიერ არაერთი ღონისძიება იქნა გატარებული.

გაუმჯობესებულია არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების პროცედურების და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ხარისხი, ხოლო არასრულწლოვანთა მიმართ გადაწყვეტილების მიღება მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებშია უზრუნველყოფილი.

2010-2021 წლებში 14-დან 21 წლამდე ასაკის სულ 5595 პირია განრიდებული, საიდანაც 3571 არის არასრულწლოვანი, ხოლო 2024 არის 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი.

2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი გამოყენებულ იქნა 363 არასრულწლოვნის და 18-დან 21 წლამდე ასაკის 270 პირის მიმართ.

21 წლამდე პირების განრიდების სტატისტიკა წლების მიხედვით



მნიშვნელოვანია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ პროკურორის მიერ პრიორიტეტულად სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები გამოიყენება, რაც კიდევ უფრო ეფექტურად უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას მართლმსაჯულების პროცესში, რადგან განრიდების მექანიზმი ეფუძნება არასრულწლოვნის საჭიროებების მაქსიმალურ გათვალისწინებას და ხელს უწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მართლშეგნების ამაღლებას. განრიდება-მედიაციის პროგრამა ეყრდნობა აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დამნაშავისა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე.

პანდემიამ გამოწვევების წინაშე დააყენა განრიდება-მედიაციის პროგრამაც, სწორედ ამ გარემოებით იყო განპირობებული 2020 წელს არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებლის შემცირება. კერძოდ, 2020 წელს 2019 წელთან შედარებით არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი 3%-ით იყო შემცირებული არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებით. 2021 წელს, იმ პირობებში, როდესაც შეზღუდვები ეტაპობრივად მოიხსნა და ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით პროცედურები დისტანციურ რეჟიმში ხორციელდება, მაინც მოხერხდა განრიდების გამოყენების ზრდის დინამიკის აღდგენა და რაოდენობრივ მაჩვენებელთან ერთად მოიმატა არასრულწლოვანთა განრიდების ხვედრითმა წილმაც სისხლისსამართლებრივი დევნის

დაწყების მაჩვენებელთან მიმართებით. 2021 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობაა 610, საიდანაც განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 363 (59%) არასრულწლოვანი, 5%-ითაა მომატებული.





აღსანიშნავია, რომ 2021 წელს 251 ბრალდებული არასრულწლოვნიდან, მხოლოდ 91 არასრულწლოვანი აკმაყოფილებდა განრიდების კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმებს. ამდენად, 2021 წლის მონაცემებით, განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ

მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ 454-ია, საიდანაც პროკურორმა განრიდების გადაწყვეტილება 363 (80%) არასრულწლოვნის მიმართ მიიღო. აღნიშნული ცალსახად მიუთითებს, რომ პროკურორები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე არასრულწლოვანთა მიმართ პრიორიტეტულად სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას განიხილავენ და არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც შეფასდება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ განრიდება უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

2021 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი იმ პირთა საერთო რაოდენობიდან (454) , რომლებიც აკმაყოფილებდნენ განრიდების კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმებს



აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 75% გახლდათ, რაც მიუთითებს, რომ 2020 წელთან შედარებით 2021 წელს, განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების მაჩვენებელი გაზრდილია.

2021 წელს კვლავ დაბალი იყო განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან, განრიდებამდე დევნა დაიწყო მხოლოდ 24 (7%) არასრულწლოვნის მიმართ.

2019-2021 წლებში, გაზრდილია მძიმე დანაშაულებზე არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი.

- 2017 წელს, სულ განრიდებული 475 არასრულწლოვანი პირიდან, მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო განრიდება გამოყენებული იყო 220 პირის მიმართ, რაც განრიდებული არასრულწლოვნების 46%-ს წარმოადგენდა.

- 2018 წელს 497 არასრულწლოვნიდან 199-ს წარმოადგენდა, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 40% იყო.
- 2019 წელს სულ განრიდებული 437 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 197 არასრულწლოვანს, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 45% იყო.
- 2020 წელს განრიდებული 298 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 121-ს, რაც საერთო რაოდენობის 41%-ს წარმოადგენდა.
- 2021 წელს 363 განრიდებული არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 195 არასრულწლოვანს, ანუ განრიდებულ არასრულწლოვანთა 54%-ს.

2021 წელს, ისევე როგორც გასულ წლებში, განრიდება უმეტესად გამოყენებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე. 363 განრიდებული არასრულწლოვნიდან სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 239 პირს (66%).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების და მათზე დროული რეაგირების მიზნით, საქართველოს პროკურატურამ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებისთანავე დანერგა ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის მექანიზმი, რაც გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეების დოკუმენტურ მონიტორინგს, გამოძიების დაწყების ეტაპიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ პროკურორები არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გადაწყვეტილებას დროულად იღებენ. დაბალია სასამართლოდან საქმეების განრიდების მიზნით დაბრუნების მაჩვენებელი. კერძოდ, 2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან სასამართლოს მიერ საქმე განრიდების მიზნით მხოლოდ 18 (5%) შემთხვევაში დაბრუნდა.

განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი განრიდების ხელშეკრულების პირობების დარღვევა და განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელია. 2021 წლის მონაცემების მიხედვით განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან მხოლოდ 8 პირმა (2%) ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული.

განრიდების პროგრამის ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს პროკურატურა 2016 წლიდან 3-წლიანი პერიოდულობით ახორციელებს განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშულის კვლევას. 2016 წელს განხორციელდა რეციდივის პირველი კვლევა 2010-2015 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიმართ. 2019 წელს კი განხორციელდა 2010-2018 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის კვლევა. კვლევის შედეგების მიხედვით, რეციდივის მაჩვენებელი ასეთია: 2010-2018 წლებში განრიდებული 2473 არასრულწლოვნიდან განმეორებითი დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 328 პირს (13%), მათ შორის:



განრიდების პროგრამის შეფასების მიზნით, საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, რეციდივის განსაზღვრის ნიშნულად აღებულ იქნა განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი ხელშეკრულების დასრულებიდან 3 წლის ვადაში.

2010-2018 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან 1, 2 და 3 წლის განმავლობაში შემდეგია:

- 4%-მა (2473 განრიდებული არასრულწლოვნიდან 112-მა) განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან 1 წლამდე პერიოდში;
- 7%-მა (2473 განრიდებული არასრულწლოვნიდან 178-მა) განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან 2 წლამდე პერიოდში;
- 9%-მა (2473 განრიდებული არასრულწლოვნიდან 223-მა) განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან 3 წლამდე პერიოდში.[2] (პირველი არ არის და ეს გამოდის 1)

აღნიშნული მონაცემების თანახმად, განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი არის 9%, საერთაშორისო ექსპერტთა მიერ კი აღინიშნა, რომ ევროპის რიგ ქვეყნებში განრიდებულ არასრულწლოვანთა რეციდივის 20%-იანი მაჩვენებელი ფიქსირდება, შესაბამისად, საქართველოს მონაცემები დადებითად შეფასდა.

განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის კვლევა პროკურატურის მიერ დაგეგმილია 2022 წელს.

2021 წელს არასრულწლოვანთა მიმართ მოთხოვნილი პატიმრობის პროცენტულმა მაჩვენებელმა 37,8% შეადგინა:

[2] სულ ხელშეკრულების დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა 223 არასრულწლოვანმა, აღნიშნული მაჩვენებელი მოიცავს ხელშეკრულების დასრულებიდან 2 წლამდე ვადაში განმეორებითი დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა რაოდენობას, ხოლო ხელშეკრულების დასრულებიდან 2 წლამდე პერიოდში განმეორებითი დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა რაოდენობა მოიცავს ხელშეკრულების დასრულებიდან 1 წლამდე პერიოდში განმეორებითი დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა რაოდენობას.

მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი არასრულწლოვნებში



განრიდებული პირებისა და პროკურორის მიერ მოთხოვნილ აღკვეთის ღონისძიებების ჯამური მონაცემებით, 2021 წელს პატიმრობის პროცენტულმა მაჩვენებელმა მოცემულ შემთხვევაში 12,3% შეადგინა:

მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი არასრულწლოვნებში
(სულ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მაჩვენებელი მოიცავს ჯამურ ინფორმაციას განრიდებულ პირებსა და პროკურორის მიერ მოთხოვნილ აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ)



რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის შეფარდებას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2021 წელს 31,5% შეადგინა:

პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში



განრიდებული პირებისა და გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების ჯამური მონაცემებით, 2021 წელს პატიმრობის პროცენტულმა მაჩვენებელმა 10.1% შეადგინა:

პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში
(შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების მაჩვენებელი მოიცავს ჯამურ ინფორმაციას
განრიდებულ პირებსა და გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ)



რაც შეეხება განაჩენებს, 2021 წელს განაჩენი გამოტანილი იქნა 154 არასრულწლოვნის მიმართ.

არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოტანილი იქნა განაჩენი



არასრულწლოვანთა მიმართ არსებითად და საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეები წლების მიხედვით ასე გადანაწილდა:

არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი განაჩენები



საინტერესოა არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა. 2014 წელს სასამართლოს არასრულწლოვნის მიმართ გამამართლებელი განაჩენი არ დაუდგენია, 2015 წელს გამართლდა 10, 2016 წელს - 6, 2017 წელს - 3, 2018 წელს - 9, 2019 წელს - 10, 2020 წელს არასრულწლოვანთა მიმართ გამამართლებელი განაჩენი ასევე არ გამოტანილა, ხოლო 2021 წელს გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 3 არასრულწლოვანის მიმართ.

არასრულწლოვანთა მიმართ საპროცესო შეთანხმების პირობად, თავისუფლების აღკვეთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით შემდეგი მონაცემები ფიქსირდება:

საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი
(მოიცავს ჯამურ ინფორმაციას საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეებისა და განრიდებული პირების შესახებ)



განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საქმეების მონიტორინგის საფუძველზე დამუშავდა 2021 წლის ძირითადი სტატისტიკური მონაცემები, ასევე გამოვლინდა პრაქტიკაში არსებული გამოწვევები, რომელთა გადაჭრის მიზნით პროკურორებისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო მითითებები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სრულყოფის, ხარვეზების გამოსწორების და უწყებათაშორის კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პროკურატურამ რეგიონულ დონეზე შექმნა არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი, რომელშიც პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად ჩართული არიან საერთო სასამართლოს, იურიდიული დახმარების სამსახურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების სამინისტროების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.

2021 წელს, 30 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე პერიოდში, არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს 5 შეხვედრა გაიმართა. მულტიდისციპლინური ჯგუფების შეხვედრებს ესწრებოდა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი. COVID19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით ადგილობრივმა საბჭოებმა ონლაინ სივრცეში იმუშავეს. პროკურატურის მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს წარედგინათ მოხსენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ. ასევე, მონაწილეები უწყებების მიხედვით გაეცნენ გასულ შეხვედრებზე განხილულ საკითხებს. უწყების წარმომადგენლებმა განიხილეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული გამოწვევები, იმსჯელეს პრაქტიკაში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №681 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა რთული ქცევის მქონე ბავშვების რეფერირების სისტემის მონაწილე უწყებაა. 2021 წლის მონაცემებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რეფერირების ცენტრში პროკურატურის მიერ 14 წლამდე ასაკის კანონთან კონფლიქტში მყოფი 34 არასრულწლოვანი იქნა გადამისამართებული.

საქართველოს პროკურატურა აქტიურად არის ჩართული ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეფერირების მექანიზმშიც. 2021 წლის მონაცემებით, საქართველოს პროკურატურის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში“ გადამისამართდა ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი 24 არასრულწლოვანი, საიდანაც 9 არასრულწლოვნის მიმართ იკვეთებოდა ფიზიკური ძალადობის, ხოლო 7 არასრულწლოვნის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის ნიშნები, 3 არასრულწლოვნის მიმართ ადგილი ჰქონდა სექსუალურ ძალადობას, 2 არასრულწლოვანი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი იყო, 1 შემთხვევაში სახეზე გვქონდა უგულებელყოფა და ფსიქოლოგიური ძალადობა, 1 შემთხვევაში იკვეთებოდა ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის ფაქტები, ხოლო 1 შემთხვევაში - ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები.

საქართველოს პროკურატურის წარმატება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებთან ერთად ასევე განაპირობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში პროკურორთა სპეციალიზაციის სტანდარტის უზრუნველყოფამ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში პროკურორთა სპეციალიზაციას აქვს მუდმივი და განგრძობადი ხასიათი. დღეის მდგომარეობით პროკურატურას ჰყავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული 108 მენეჯერი, 190 პროკურორი, 26 გამომძიებელი და 14 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფისთვის არაერთი მიმართულებით აგრძელებს აქტიურ მუშაობას. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების კონცეფციაზე მუშაობა პროკურატურამ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით 2017 წელს დაიწყო, ხოლო მისი დანერგვა 2018 წელს მოხდა ჯერ რუსთავის, 2019 წელს – ხელვაჩაურის რაიონულ პროკურატურაში. 2021 წელს კი ბავშვზე მორგებული გარემო შეიქმნა სენაკისა და საჩხერის რაიონულ პროკურატურაში, სადაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამისი სივრცეების ტექნიკური აღჭურვა. იგეგმება ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის ეტაპობრივი გაფართოება და ყოველწლიურად ერთ სტრუქტურულ ერთეულში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო

გამოძიების დაწყება

საქართველოს პროკურატურამ, როგორც საგამოძიებო ორგანომ, 2017 წელს გამოძიება დაიწყო 724, 2018 წელს – 903, 2019 წელს – 655, 2020 წელს – 331, ხოლო 2021 წელს 454 სისხლის სამართლის საქმეზე.



2021 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, გამოძიება ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა), 164-ე (ამომრჩევლის მოსყიდვა) და 126-ე (ძალადობა) მუხლებით.

2019-2021 წლებში გამოძიების დაწყების მუხლობრივი მაჩვენებელი



სისხლისსამართლებრივი დევნა

საქართველოს პროკურატურის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე 2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 431 პირის მიმართ, სისხლისსამართლებრივი დევნა ასევე დაწყებულ იქნა 16 იურიდიული პირის მიმართ.



2021 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), 25-180-ე მუხლი (თაღლითობა თანამონაწილეობით), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა), 126 [1]-(ოჯახში ძალადობა), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა), 126-ე (ძალადობა) და 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) მუხლებით.

2019-2021 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების
მუხლობრივი მაჩვენებელი



2021 წელს ბრალდებული 431 პირიდან 117 დანაშაულის ჩადენის დროს სხვადასხვა რანგის მოხელე იყო. 2021 წელსაც წინა წლების მსგავსად, ბრალდებულ საჯარო მოხელეთაგან უმეტეს ნაწილს წარმოადგენდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.

მოხელეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



განაჩენები

2021 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 310, ხოლო გამამართლებელი - 16 პირის მიმართ.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგები

2006-2021 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებებიდან (განჩინებების და გადაწყვეტილებების სახით) საქართველოს პროკურატურას ღონისძიებების გატარება 54 საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების/განჩინების აღსრულების მიზნით დაევალა.



2021 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების ფარგლებში სისხლისსამართლებრივი დევნა

დაიწყო - 8 პირის მიმართ[3], ხოლო 2006-2021 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 42 პირის მიმართ.



2021 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფარგლებში ჩატარებული გამოძიების შედეგად გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 8 პირის მიმართ.



[3] 8 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია 2012 წლამდე ჩადენილ დანაშაულებზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, 2014-2021 წლებში გადაისინჯა ეროვნული სასამართლოების მიერ სხვადასხვა საქმეზე 15 პირის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები, მათ შორის - 6 პირის მიმართ ძალაში დარჩა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 9 პირის მიმართ დადგენილ იქნა გამამართლებელი განაჩენი

ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა

კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტული მიმართულებაა კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ კატეგორიის დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რადგან კორუფცია საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს. შესაბამისად, კორუფციული დანაშულის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობა, მათი სტაბილური ფუნქციონირება, განვითარება და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა.

საქართველოში კორუფციული დანაშაულების საქმეების გამოძიებას საქართველოს პროკურატურასთან ერთად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ატარებს. ქვეყანაში კორუფციული ან/და კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინაციას საქართველოს პროკურატურა ახორციელებს.

საქართველოს პროკურატურის სისტემაში შექმნილია სპეციალიზებული საგამოძიებო დანაყოფი - კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო.

სპეციალიზებული ანტიკორუფციული დანაყოფის ფუნქციას წარმოადგენს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებში კორუფციულ დანაშაულებზე მიმდინარე გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და სასამართლო პროცესებზე ზედამხედველობის განხორციელება და კორუფციული დანაშულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია. ამ ამოცანების შესრულებისთვის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ სხვა ანტიკორუფციული დანაყოფების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში. უშუალოდ აწარმოებენ გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას განსაკუთრებული მნიშვნელობის, რთულ და კომპლექსურ კორუფციულ დანაშაულებზე.

კორუფციული დანაშაულის გამოძიების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობს მუშაობა სტრუქტურულ რეფორმასთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავს სპეციალიზებული ანტიკორუფციული დანაყოფის გაძლიერებას და ყველა რეგიონალურ დანაყოფში სპეციალიზებული გამომძიებლების დანიშვნას.

2021 წელს გამოძიება დაიწყო კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებულ 272 სისხლის სამართლის საქმეზე. გამოძიების დაწყების ძირითად საფუძველს წარმოადგენდა განცხადება/საჩივარი, ოპერატიული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ან/და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

კორუფციულ დანაშაულებზე გამოძიების დაწყების მაჩვენებლები შემდეგია:



2021 წელს კორუფციული დანაშაულების ჩადენის ფაქტზე პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 280 პირის, მათ შორის 16 იურიდიული პირის მიმართ. წინა წელთან შედარებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი გაზრდილია 22%-ით.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 2019-2021 წლებში



2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 112 პირის მიმართ, რომლებიც კორუფციული დანაშაულის ჩადენის მომენტში დასაქმებულნი იყვნენ საჯარო სექტორში, რაც ფიზიკურ ბრალდებულ პირთა საერთო მაჩვენებლის 42%-ს შეადგენს. ხოლო, მათგან 14 ბრალდებული წარმოადგენდა მაღალი თანამდებობის პირს, მათ შორის: მინისტრის მოადგილე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თავმჯდომარე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვიცე-პრეზიდენტი, მუნიციპალიტეტის გამგებლები, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, თბილისის მერიის რაიონის გამგებლის მოადგილეები, საკრებულოს წევრები. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულ საჯარო მოხელეთა უდიდეს ნაწილს შეადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირები (სულ 68 პირი, რაც შეადგენს ბრალდებულ საჯარო მოხელეთა 60%-ს).

2021 წელს, გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა კორუფციულ დანაშაულში მხილებული 135 პირის მიმართ.

გამამტყუნებელი განაჩენის მაჩვენებელი 2019-2021 წლებში



აღსანიშნავია, რომ 2021 წელს კორუფციული დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ იქნა ცნობილი 7 პირი, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტში იკავებდნენ მაღალ თანამდებობას. ყველა მათგანი დასაქმებული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

- **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშები**

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების წარმოება. 2021 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან გადმოიგზავნა 18 ანგარიში, 2020 წელს 28 ანგარიში, ხოლო 2019 წელს 34 ანგარიში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებული ანგარიშები 2019-2021 წლებში



კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში საქართველოს პროკურატურისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისგან მიღებულ ანგარიშებზე ეფექტიანი გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელება, რის გათვალისწინებითაც პროკურატურა აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან.

მიღებული ანგარიშების საფუძველზე, 2021 წელს გამოძიება დაიწყო 17 სისხლის სამართლის საქმეზე. 1 ანგარიში, კი რომელიც კვლევის ობიექტის/თემატიკის მიხედვით იდენტური იყო მანამდე გადმოგზავნილი ანგარიშის, დაერთო მიმდინარე გამოძიებას. 2020 წელს, მიღებული ანგარიშებიდან, გამოძიება დაიწყო 24 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო 2019 წელს - 31 საქმეზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელი 2019-2021 წლებში



რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლებს, 2021 წელს, პროკურატურის მიერ გატარებული სამართლებრივი რეაგირების შედეგად სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 19 პირის მიმართ, 2020 წელს 15 პირის, ხოლო 2019 წელს - 18 პირის მიმართ.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 2019-2021 წლებში



2021 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებთან დაკავშირებით, პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 12 პირის მიმართ. 2020 წელს, 14 პირის მიმართ, ხოლო 2019 წელს - 15 პირის მიმართ.

გამამტყუნებელი განაჩენის მაჩვენებელი (პირები) 2019-2021 წლებში



კორუფციასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პროცესში, მართლმსაჯულების ინტერესების უზრუნველსაყოფად, 2021 წელს ყადაღა იქნა დადებული სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ შემდეგ ქონებაზე: 145 350 ლარი, 13 289 495 აშშ დოლარი, 2 337 011 ევრო, 11 694 ფუნტი, 34 ავტომანქანა, 313 უძრავი ქონება, 31 429 000 ლარის ღირებულების (ათეულობით უძრავი ქონება), 8 136 849 აშშ დოლარის, 4 695 558 ევროს და 1 555 126 ლარის ღირებულების ფასიან ქაღალდებზე და 2 კერძო სამართლის იურიდიული პირის წილზე.

2021 წელს, საქართველოს პროკურატურის მიერ გატარებული სამართლებრივი რეაგირების შედეგად ჩამორთმეულ იქნა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემდეგი ქონება: 9 976 000 ლარი, 419 753 აშშ დოლარი, 101 000 ევრო, 30 უძრავი ქონება და 2 ავტომანქანა.

თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, მნიშვნელოვანია პროკურატურის ანტიკორუფციული მიმართულების შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება, გამოძიების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევების დანერგვა და გამოყენება, ადამიანური რესურსების განვითარება.

გამოძიების ეფექტიანობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია კორუფციულ დანაშაულებთან დაკავშირებით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიების მიზნით პარალელური ფინანსური გამოძიების სტანდარტების შემუშავება და პრაქტიკაში დამკვიდრება. ამ გამოწვევებზე საპასუხოდ აუცილებელია გაგრძელდეს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ანტიკორუფციული მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და გამოცდილების გაზიარება. ასევე, სისხლის სამართლის კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება, რაც უზრუნველყოფს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერებას კორუფციის, ფულის გათეთრების და სხვა ტიპის ეკონომიკური დანაშაულებების გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოში განხილვის მიმართულებით.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოების ჩართულობა და მათი მხრიდან თანამშრომლობის სურვილის მაღალი ხარისხით გამოხატვა სამართალდამცავ ორგანოებთან. ამ მხრივ ხაზგასასმელია მამხილებელთა ინსტიტუტის ფუნქციონირება კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერების პროცესში. საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, საჯარო დაწესებულებებში კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დანერგვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მამხილებლებზე. 2015 წელს საქართველოში გატარებული რეფორმის შედეგად, შეიქმნა მხილებისა და მამხილებელთა დაცვის გამართული და ქმედითი მექანიზმის არსებობისათვის საჭირო საკანონმდებლო გარანტიები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე კორუფციული დანაშაულის გამოვლენისა და პრევენციის პროცესში, მამხილებელთა ჩართულობა გაზრდას საჭიროებს, რისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია სამართლებრივ და პრაქტიკულ დონეზე უზრუნველყოფილი იყოს მამხილებელთა უსაფრთხოების და დაცვის გარანტიების არსებობა. მამხილებელთა წახალისების მიზნით აქტიურად ტარდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, ასევე მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომია არაერთი შესაძლებლობა დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მოსაწოდებლად, რაც პოტენციურ მამხილებლებს აძლევს საშუალებას ამხილოს კორუფციული დანაშაულის ჩამდენი პირი.

კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, აუცილებელი და მნიშვნელოვანია პროკურატურის თანამშრომლების სწავლება და ამ მიმართულებით საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშომლობა. 2021 წელს ჩატარდა სწავლებები, კერძოდ:

- ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის - ,,კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში" (PGG-GE) მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე სპეციალიზაციის სასწავლო კურსი დაინერგა. მონაწილეები გაეცნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: კორუფციის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა, იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი დევნა, ამ მიმართულებით არსებული

გამოწვევები, გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტური მექანიზმები, ფარული საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვა/ჩატარება, მტკიცებულებების მოპოვება, მათი დასაშვებობა, დანაშაულის გზით მოპოვებული ქონების, ასევე მისი ეკვივალენტის ყადაღა/კონფისკაცია და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხები.

- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ინიციატივით, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციულ ქსელში შემავალი ქვეყნების წარმომადგენლების მონაწილეობით, COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის და სხვა კრიზისული სიტუაციების დროს კორუფციის გამოვლენის საკითხებზე ვებინარი ჩატარდა. ტრენინგზე OECD-ის მიერ მოწვეულმა ექსპერტმა ტრენინგის მონაწილეებთან ერთად განიხილა COVID-19 პანდემიის დროს კორუფციის გამოვლენის, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პრაქტიკული საკითხები.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების ეფექტიანი გამოძიება.

2021 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 97 პირის მიმართ. მათ შორის, 81 ფიზიკური და 16 იურიდიული პირის მიმართ.



ფულის გათეთრების და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეებში იურიდიულ პირთა ჩართულობის გამოვლენა და მათ მიმართ ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება საქართველოს პროკურატურისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

ამ მხრივ საქართველოს გენერალური პროკურატურა ზედმიწევნით ასრულებს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტის მოწოდებას.

როგორც, 2020 წლის ანგარიშშიც იყო ასახული, Moneyval-მა საქართველოს მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიში დაამტკიცა, რომელშიც საქართველოს პროკურატურის მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გატარებული ღონისძიებები, ასევე, ფულის გათეთრების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით არსებული სტრატეგია პოზიტიურად შეფასდა.

შეფასების თანახმად, საქართველოს აქვს ეფექტიანი სამართლებრივი და ინსტიტუციური სისტემა ფულის გათეთრების დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის. საგამოძიებო და საპროკურორო ორგანოები სათანადო რესურსითაა უზრუნველყოფილი. უფლებამოსილ საგამოძიებო ორგანოებს აქვთ ადეკვატური რესურსები და წვდომა ინფორმაციაზე, რომელიც საჭიროა გამოძიების ეფექტიანად წარმართვისთვის.

პოზიტიური შეფასების ფონზე, კომიტეტმა ასევე მოუწოდა პროკურატურას, რომ განაგრძოს იმ ინიციატივების განხორციელება, რომლებიც ეხება ფულის გათეთრების დანაშაულის აღმოჩენის გაუმჯობესებას და პროკურორებმა გააფართოონ დევნადასაწყები საქმეების არეალი, რომლებიც ეხება იურიდიული პირების პასუხისმგებლობას.

2020 წლის შეფასების შესაბამისად, 2021 წელს საქართველოს პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 16 იურიდიული პირის მიმართ, რაც ცალსახად ადასტურებს საქართველოს პროკურატურის ეფექტიანობის ზრდას იურიდიული პირების სისხლისსამრთლებრივი დევნის მიმართულებით და ზედმიწევნით პასუხობს Moneyval-ის კომიტეტის მოწოდებას.

გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობას და საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფების მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეებზე წარმატებულ გამოძიებაზე მიუთითებს ყადაღადადებული და ჩამორთმეული დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებების მოცულობა. აღსანიშნავია, რომ გატარებული ზომების მიზანს ამავდროულად Moneyval-ის კომიტეტის რეკომენდაციების პრაქტიკაში ინპლემენტაცია წარმოადგენს, რომელმაც მეხუთე რაუნდის შეფასების პროცესში ქვეყანას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ექვივალენტის და დანაშულის იარაღის კონფისკაციის მექანიზმების უფრო ფართოდ გამოყენებისაკენ მოუწოდა.

ყადაღა იქნა დადებული დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ შემდეგ ქონებაზე:

- ✓ 2021 წლის მონაცემებით - 5 610 091 ლარი, 13 531 652 აშშ დოლარი, 2 463 478 ევრო, 11 192 ფუნტი, 8 136 849 აშშ დოლარის, 4 695 558 ევროს და 1 555 126 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები, 32 ავტომანქანა, 19 მიწის ნაკვეთი, 73 უძრავი ქონება;
- ✓ 2020 წელს – 1 459 647 ლარი, 5 722 700 აშშ დოლარი, 5 486 278 ევრო, 8 528 688.06 აშშ დოლარის და 313 772.35 ევროს ღირებულების ფასიანი ქაღალდები, 7 ავტომანქანა, 4 მიწის ნაკვეთი, 54 უძრავი ქონება;

- ✓ 2019 წელს – 191 748 ლარი, 902 974 აშშ დოლარი, 616 044 ევრო და 3 144 283 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი;
- ✓ 2018 წელს – 17 522 495 ევრო, 21 183 776 აშშ დოლარი, 16 629 ლარი, 142 834 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი და 6 357 835.91 აშშ დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები (დაახლოებით 125 000 000 ლარი);

რაც შეეხება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, ჩამორთმეული ქონებების ოდენობას, წლების მიხედვით, მონაცემები შემდეგია:





- ✓ 2021 წელს - 9 976 000 ლარი, 919 753 აშშ დოლარი, 77 000 ევრო, 17 ავტომანქანა, 5 უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი), 4 საცხოვრებელი ბინა და 1 სასტუმრო;
- ✓ 2020 წელს – 356 500 ლარი, 171 286 აშშ დოლარი, 302 810 ევრო და 2 ავტომანქანა;
- ✓ 2019 წელს – 5 საცხოვრებელი ბინა, 23 000 აშშ დოლარი და 725 000 ლარი;
- ✓ 2018 წელს – 1 საცხოვრებელი ბინა, 7 ავტომანქანა, 690 000 ლარი, 199 975 შვეიცარიული ფრანკი, 37 899 აშშ დოლარი;

როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეების ანალიზით დგინდება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ წყაროს ე.წ. ,,პრედიკატს“ წარმოადგენს თაღლითობა. აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა კიდეც ეროვნული რისკის შეფასების დოკუმენტში. რიგ შემთხვევებში, დანაშაულებრივად მოქმედი პირები საქმიან ნდობაში შედიან მსხვილი კომპანიების წარმომადგენლებთან და თითქოსდა ბიზნეს ან/და საინვესტიციო დანიშნულებით, მოტყუებით არიცხინებენ თანხებს მათ კონტროლირებად საბანკო ანგარიშებზე მათი შემდგომი ლეგალიზაციის მიზნით. ცალკეულ შემთხვევებში დამნაშავეები იყენებენ თაღლითურ ელექტრონულ ფოსტებს, თავს ასაღებენ უცხოური კომპანიების კონტრაგენტებად და შემდგომი ლეგალიზაციის მიზნით, დაზარალებულებს მოტყუებით არიცხინებენ თანხებს მათ მიერ მითითებულ ანგარიშებზე. ასევე, ფულის გათეთრების არაერთი საქმე უკავშირდება თაღლითური დანაშაულების ისეთ შემთხვევებს, როდესაც კრიმინალური მანიპულაციისა და მოტყუების მსხვერპლად უბრალო მოქალაქეები გვევლინებიან.

გარკვეულ შემთხვევებში, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრედიკატ დანაშაულად გვევლინება კიბერდანაშაული, რაც განპირობებულია ციფრულ ტექნოლოგიებზე საზოგადოების მზარდი დამოკიდებულებით. ხშირია შემთხვევები, როდესაც დამნაშავეები სხვადასხვა

ხერხებით (ფიშინგი, ჰაკინგი) უნებართვოდ აღწევენ დაზარალებულის კომპიუტერულ სისტემაში, ეუფლებიან მის კონფიდენციალურ კომერციულ მონაცემებს, საბანკო ბარათის მონაცემებს, ონლაინ ბანკინგში ავტორიზაციისთვის საჭირო კოდებს და მათი ანგარიშებიდან, შემდგომი ლეგალიზაციის მიზნით, ფულად თანხებს ფარულად რიცხავენ მათ მიერ კონტროლირებად ანგარიშებზე.

ფულის გათეთრების საქმეთა უმეტესობა საბანკო სექტორის სერვისებს უკავშირდება, როგორიცაა: საბანკო ანგარიშებზე თანხის შეტანა/ჩარიცხვა და შემდგომ განაღდება/გადარიცხვა, ასევე, საკუთარ ანგარიშებს შორის ფულის მოძრაობა და სხვა ანგარიშზე თანხის გადარიცხვა, ინტერნეტ ბანკინგის მომსახურება, რომლითაც დროის უმოკლეს ვადაში ხდება თანხის კონვერტაცია, დანაწევრება და ტრანზაქციების განხორციელება.
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეების გამოძიებისას მთავარ გამოწვევად რჩება საგამოძიებო უწყებების მიერ პარალელური ფინანსური გამოძიების და ფინანსური დაზვერვის ინფორმაციის გამოყენების ხარისხის გაზრდა, ფულის გათეთრების გამოვლენის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით. ასევე, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების, მათ შორის, ექვივალენტური ღირებულების ქონების მოძიების, ამოღება/დაყადაღების და ჩამორთმევის ეფექტიანობის გაზრდა.
2021 წელს, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩატარდა სწავლებები ლეგალიზაციის საქმეების გამოძიების, ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული და ექვივალენტური ქონების მოძიების/ჩამორთმევის საკითხებზე.

- საქართველოს პროკურატურისა და ევროკავშირის პროექტის "ევროკავშირის მოქმედება ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (EU-ACT)" მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა ინტენსიური სწავლება გაიარეს ფულის გათეთრების, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და კრიპტოვალუტების თემაზე. ერთობლივი სწავლების მიზანი სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინაციის ზრდის ხელშეწყობა, საერთო პრაქტიკის დანერგვა და წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება იყო. კურსი მოიცავდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებებით არსებულ გამოწვევებს, ეფექტიანი გამოძიების წარმოებას, მტკიცებულებების მოპოვებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ყადაღა/კონფისკაციასა და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ სხვა აქტუალურ საკითხებს.
- ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის -,,კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში” (PGG-GE) მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საქმეების ფინანსური გამოძიება. პროგრამის ფარგლებში მოხდა მონაწილეთა გადამზადება კორუფციის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის თემატიკაზე. ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე, გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურ მექანიზმებზე, ფარული საგამოძიებო

მოქმედებების დაგეგმვა - ჩატარებაზე, დანაშაულის გზით მოპოვებული ქონების და მისი ექვივალენტის ყადაღა/კონფისკაციაზე.

საქართველოს პროკურატურა, ფულის გათეთრების საქმეების ეფექტიანი გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად, უცხოელი ექსპერტების ჩართულობით, მომავალშიც გააგრძელებს სწავლებებს პროკურორების და პროკურატურის გამომძიებლებისთვის.

საქართველოს პროკურატურა ტრანსნაციონალური დანაშაულების გამოძიების პროცესში აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ უწყებებთან. საქართველოს პროკურატურის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სისხლის სამართლის საფეროში ურთიერთდახმარების მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას. ფაქტიურად ყოველდღიურ რეჟიმში თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნების კომპეტენტურ უწყებებთან და მონაწილეობს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის საქმეებზე გამოძიების ეფექტურად წარმართვის მიზნით შექმნილ საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფებში.

ამავდროულად, საქართველოს პროკურატურა ,,ევროჯასტში“ საქართველოს მეკავშირე პროკურორის ჩართულობით ეფექტიანად თანამშრომლობს ,,ევროჯასტის“ წევრ ქვეყნებთან.

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო, ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგს. 2021 წელს, წინა წლების მსგავსად მონიტორინგს დაექვემდებარა, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოების და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეები.

საქართველოს პროკურატურაში, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხის სწორად გადაწყვეტის და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, ჯერ კიდევ 2017 წელს შემუშავდა რეკომენდაცია -,,მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ“. აღნიშნული რეკომენდაცია აქტიურად გამოიყენება უფლებამოსილების გადამეტების, წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის კვალიფიკაციის ზუსტად განსაზღვრის საკითხების გადასაწყვეტად.

2013-2021 წლებში არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პენიტენციური სამსახურის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 187 თანამშრომლის მიმართ. ამათგან, 83 პირი იყო პენიტენციური სამსახურის თანამშრომელი, ხოლო 104 პირი პოლიციის თანამშრომელი.



2021 წელს, საქართველოს პროკურატურის სტრუქტურულ დანაყოფებში, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 15 სისხლის სამართლის საქმეზე. მათგან:

- 2 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. აქედან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლით გამოძიება დაიწყო 1 საქმეზე, ხოლო 333-ე მუხლით - 1 საქმეზე.
- 12 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. აქედან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლით გამოძიება დაიწყო 1 საქმეზე, 333-ე მუხლით - 10 საქმეზე, ხოლო 144^1 და 333-ე მუხლებით - 1 საქმეზე.
- 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო პოლიციისა და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 და 333-ე მუხლებით.

2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დაიწყო 15 პირის მიმართ, მათგან:

- 4 პირი იყო პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი და ოთხივე პირის ბრალდების საქმეზე გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფი. ამათგან, 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით, 1 პირის მიმართ 144^3-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით, ხოლო 2 პირის მიმართ 333-ე მუხლით.
- 11 პირი იყო პოლიციის თანამშრომელი. აქედან 7 პირის მიმართ გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფი და შვიდივე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 144^1 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნაქტებით, 4 პირის მიმართ კი გამოძიებას აწარმოებდა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფი და ოთხივე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებით და 144[3] მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“, ,,ბ“, ,,დ“ და ,,ე“ ქვეპუნქტებით.

2021 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ 29 სისხლის სამართლის საქმეზე, სრულყოფილი გამოძიების ჩატარების და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით, პროკურორების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტის და ,,პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის“ 52-ე მუხლის საფუძველზე გაიცა სავალდებულო წერილობითი მითითება.

2021 წელს, ,,სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე საქართველოს პროკურატურაში განსახილველად შემოვიდა 10 წინადადება. ამათგან:

- 5 წინადადება ეხებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. მათგან, პროკურატურამ ერთ საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული საჯარო მოხელის მიმართ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურმა, წინადადების გამოგზავნის შემდეგ უზრუნველყო პროკურორის მიერ გაცემული წერილობითი მითითების შესრულება და ჩაატარა აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, რასაც წინ უძღოდა სახელმწიფო ინსპექტორის მიერ პროკურატურის გადაწყვეტილების გასაჩივრება. 4 სისხლის სამართლის საქმე პროკურატურაში შემოტანილი იქნა 2021 წლის ბოლოს, აღნიშნულ საქმეებზე გამოძიება ნაწარმოები იყო არასრულყოფილად, არასრულად, არ იყო დანიშნული და ჩატარებული აუცილებელი ექსპერტიზები, არ იყო ჩატარებული გამოკითხვები, ამოცნობები, არ იყო იდენტიფიცირებული ბრალდებულად პასუხისგებაში მისაცემი პირები და საქმეებზე არ იყო მოგროვებული ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც შექმნიდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის საკმარის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. საქმის საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურორის უარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე და მასთან დაკავშირებით გაცემული წერილობითი მითითებები არცერთ ამ 4 შემთხვევაში არ ყოფილა გასაჩივრებული სახელმწიფო ინსპექტორის მიერ, რისი უფლებაც მას აქვს, ,,სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის საფუძველზე.
- 5 წინადადება ეხებოდა მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩასატარებელ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ჩატარებას, რომელიც ზღუდავდა კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ხუთივე წინადადება პროკურორის მიერ იქნა დაკმაყოფილებული - 3 სრულად და 2 ნაწილობრივ.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით

მუდმივად ტარდება სწავლებები. 2021 წელს ევროპის საბჭოს HELP-ის დისტანციური სწავლების პლატფორმის გამოყენებით „არასათანადო მოპყრობის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტების“ თემაზე პროკურორებმა და პროკურატურის გამომძიებლებმა რამდენიმეთვიანი ინტენსიური კურსი გაიარეს. სწავლების მიზანი იყო, მონაწილეებისთვის არასათანადო მოპყრობის აკრძალვის თაობაზე ევროპული სტანდარტების გაცნობა, პრაქტიკაში მათი ეფექტიანად გამოყენების და ერთიანი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა. პროგრამა 6 მოდულისაგან შედგებოდა და მოიცავდა ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა: არასათანადო მოპყრობის დეფინიციები და აკრძალვის ფარგლები, თავისუფლებააღკვეთილ პირთა პატიმრობის და მკურნალობის პირობები, ძალის გამოყენება, როგორც ფიზიკური შეზღუდვის საშუალება, არასათანადო მოპყრობისგან დაცვის პროცედურული გარანტიები, ეფექტიანი გამოძიების ჩატარება და სხვა. კურსი ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერა - სასამართლო რეფორმის სისხლისსამართლებრივი ასპექტები“ ფარგლებში განხორციელდა.

იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ 2021 წელს გამოვლენილი იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 21 ფაქტი და დაზარალებულად იქნა ცნობილი 46 პირი. საქართველოს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაზარალებულებს დაუბრუნდათ (ან დაბრუნების პროცესშია) დაახლოებით 2 390 270 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთები, საერთო ფართობით დაახლოებით 691,630 კვადრატული მეტრი და ასევე კანონიერ მესაკუთრეს დაუბრუნდება სავარუდოდ ნიკო ფიროსმანის მიერ შესრულებული ფერწერული აბრა „კახური ღვინო“, რომლის სავარაუდო ღირებულებაც 1 650 000 ლარს შეადგენს. შესაბამისად 2021 წელს დაბრუნდა ან დაბრუნების პროცესშია 4 060 270 ლარის ოდენობის უძრავ-მოძრავი ქონება.

- **განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობები**

2021 წელს საქართველოს პროკურატურამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა 20 მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით, რომელთაგან **12** პირი ატარებს პოლიტპატიმრის სტატუსს. აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, რომლის ფარგლებშიც მოპოვებულმა მტკიცებულებებმა გამორიცხა აღნიშნული პირების მიერ იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რისთვისაც ისინი მსჯავრდებულები იყვნენ. ამავე პერიოდში, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე, გამოტანილი იქნა გამამართლებელი განაჩენი 25 პირის მიმართ.

2015-2021 წლის მონაცემები

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ, 2015-2021 წლებში გამოვლენილი იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 199

ფაქტი, მხილებული იქნა 56 საჯარო მოხელე, რომელთაგან 37-ის მიმართ, გამოძიების წინაშე მათი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, გამოყენებულ იქნა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება. 6 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება მათი გარდაცვალების გამო, ხოლო 13 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მათგან 12 პირის მიმართ დადგენილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

შექმნიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დაზარალებულად იქნა ცნობილი 438 პირი, რომელთაგან 313 პირს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდა (ან დაბრუნების პროცესშია) დაახლოებით 59 560 000 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება. მათ შორის :

- ✓ 160 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით დაახლოებით 22 848 172 კვ.მ;
- ✓ 6 საცხოვრებელი ბინა;
- ✓ 2 აგარაკი;
- ✓ საოფისე და კომერციული ფართები;
- ✓ სს „ენგურის სამედიცინო კომპლექსი“;
- ✓ ,,აკურას“ ღვინის ქარხანა;
- ✓ გორში მდებარე სასტუმრო და საცურაო კომპლექსი;
- ✓ შოვის პანსიონატის ტერიტორია;
- ✓ 2 თვითმფრინავი და 13 შვეულმფრენი;
- ✓ 80 ერთეული ავტომანქანა;
- ✓ ოქროს ნაკეთობები;
- ✓ ფიროსმანის ფერწერული 2 ტილო;
- ✓ აბრა „კახური ღვინო“;
- ✓ ანტიკვარული წიგნი და სხვა ქონებები.

2016 წლის 24 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა 109 მსჯავრდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, მათგან 30 ატარებდა პოლიტპატიმრის სტატუსს. 2021 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით 90 პირის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო დანარჩენ მსჯავრდებულებზე გრძელდება საქმის განხილვა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მუშაობის შედეგად 16 პირის მიმართ, რომელთაგან 12 ატარებდა პოლიტპატიმრის სტატუსს, დადგენილ იქნა უფლებების არსებითად დარღვევის ფაქტები, გამოტანილი იქნა შესაბამისი დადგენილებები და უარი ითქვა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაზე. აღნიშნულ პირთა მიმართ ასევე დადგენილი იქნა გამამართლებელი განაჩენები.

2021 წლის 31 დეკემბრის მონაცემით საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის წარმოებაში იყო 489 სისხლის სამართლის საქმე.

ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმის ,,ქურდული სამყაროს" წინააღმდეგ ბრძოლა.

2019 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223^{1}, $223^{2,}$ 223^{3} და 223^{4}-ე მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო - 42 პირის მიმართ, მათ შორის:

- ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე - 25 პირის მიმართ,
- კანონიერი ქურდობის ფაქტზე - 3 პირის მიმართ,
- ქურდულ გარჩევაში მონაწილეობის ფაქტზე - 8 პირის მიმართ,
- ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე - 2 პირის მიმართ,
- „კანონიერი ქურდისთვის" მიმართვის ფაქტზე - 4 პირის მიმართ.

2020 წელს აღნიშნული მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო - 54 პირის მიმართ:

- ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე - 35 პირის მიმართ,
- კანონიერი ქურდობის ფაქტზე - 4 პირის მიმართ,
- ქურდულ გარჩევაში მონაწილეობის ფაქტზე - 5 პირის მიმართ,
- ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე - 1 პირის მიმართ,
- „კანონიერი ქურდისთვის" მიმართვის ფაქტზე - 11 პირის მიმართ.

2021 წელს კი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო - 96 პირის მიმართ:

- ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე - 57 პირის მიმართ,
- კანონიერი ქურდობის ფაქტზე - 2 პირის მიმართ,
- ქურდულ გარჩევაში მონაწილეობის ფაქტზე - 3 პირის მიმართ,
- ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე - 29 პირის მიმართ,
- „კანონიერი ქურდისთვის" მიმართვის ფაქტზე - 10 პირის მიმართ.

2021 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი მათ შორის:

- ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე - 12 პირის მიმართ,
- კანონიერი ქურდობის ფაქტზე - 4 პირის მიმართ,
- ქურდულ გარჩევაში მონაწილეობის ფაქტზე -2 პირის მიმართ,
- ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე -3 პირის მიმართ,

ხოლო 3 პირის მიმართ გამოტანილი იქნა გამამართლებელი განაჩენი ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე.

უნდა აღინიშნოს რომ, სისხლის სამართლის პოლიტიკა აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ არის უმკაცრესი. აღნიშნული მუხლებით ბრალდებული ყველა პირის მიმართ პროკურორების მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილ იქნა პატიმრობა, რაც სასამართლოს მიერ ყველა შემთხვევაში დაკმაყოფილდა. ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები არსებითად განსახილველად იგზავნება სასამართლოში და საქართველოს პროკურატურა აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს მხოლოდ განსაკუთრებული თანამშრომლობის და მამხილებელი ჩვენებისას გამონაკლის შემთხვევებში იყენებს.

ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს პროკურატურის სისხლის სამართლის პოლიტიკა ნარკოტიკული დანაშულების ჩამდენი პირების მიმართ, მათ მიერ ჩადენილი დანაშულის მიხედვით განსხვავებულია. განსაკუთრებით მკაცრია სისხლის სამართლის პოლიტიკა ნარკორეალიზატორების მიმართ.

2021 წელი გამორჩეული იყო ნარკოტიკული საშუალებების რეალიზატორების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, 2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 141 ნარკორეალიზატორის მიმართ, 2020 წელს კი სისხლისსამართლებრივი დევნა 71 ნარკორეალიზატორის მიმართ იყო დაწყებული.

ნარკოტიკული საშუალებების რეალიზატორების მიმართ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გათვალისწინებით აღკვეთის ღონისძიების სახით ყველა შემთხვევაში მოთხოვნილი და გამოყენებულია პატიმრობა, ნარკოტიკული საშუალების რეალიზატორის მიმართ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება იშვიათად, განსაკუთრებულ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება იქნას გამოყენებული, განსაკუთრებული თანამშრომლობის პირობით.

2021 წელს, წინა წლის მსგავსად, ნარკოტიკული საშუალებების რეალიზატორების საქმეების გამოძიებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებული უკანონო შემოსავლის შესაძლო ლეგალიზაციის ფაქტების შესწავლას და ფაქტიურად უკვე ამ კატეგორიის თითქმის ყველა დანაშაულის გამოძიების ფარგლებში ხდება აქტივების მოძიება და მათი მიდევნება.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ორგანიზებული ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ,,ჰეროინის“ რეალიზაციის შედეგად მიღებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით, არსებითი განხილვის შედეგად, გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 4 პირის მიმართ, რა დროსაც მსჯავრდებულებს ჩამოერთვათ საცხოვრებელი ბინა და 5 ავტომანქანა.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

2021 წლის 16 მარტს გამოქვეყნდა ტრეფიკინგის საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მესამე შეფასების ანგარიში. ანგარიშში ხაზგასმულია კონვენციის იმპლემენტაციის პროცესში საქართველოს პროგრესი და დადებითად ფასდება ბოლო წლებში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის, მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის, პროაქტიული გამოვლენის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და თანამშრომლობის მიმართულებით გატარებული ღონისძიებები.

ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფმა („GRETA“) პოზიტიურად შეაფასა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რაც მიზნად ისახავდა ტრეფიკინგის დანაშაულის პრაქტიკაში სწორი კვალიფიკაციისა და მისი გამოვლენის მიზნით მტკიცებულებების შეგროვების ხელშეწყობას.

ექსპერტთა ჯგუფი პოზიტიურად აღნიშნავს საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში თანამშრომლობის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პროკურატურაში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი გაძლიერდა, რისი მიზანიც სამართალწარმოების პროცესში დანაშაულის მოწმისა და დაზარალებულის მონაწილეობის გამარტივება, ინფორმირება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება და ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებაა, ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჭიროა დამატებითი ზომების მიღება, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ტრეფიკინგის მსხვერპლთა და მოწმეთა ეფექტური და სათანადო დაცვა.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ასევე მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიში, რომლის მიხედვითაც, ტრეფიკინგის წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებებით საქართველო მსოფლიოს მასშტაბით კვლავ პირველ საფეხურზეა. 190 შეფასებულ ქვეყანას შორის საქართველო ერთ-ერთია, რომელიც ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს და ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით თანმიმდევრულ და კოორდინირებულ ღონისძიებებს მუდმივ რეჟიმში აგრძელებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში პოზიტიურად ფასდება, როგორც ტრეფიკინგის შემთხვევების გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი, ასევე სამართალდამცავთა საქმიანობა დანაშაულის პროაქტიულად გამოვლენის და ტრეფიკიორთა პასუხისგებაში მიცემის კუთხით.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშია აღნიშნული, საქართველო, „კოვიდ-19“-ით გამოწვეული პანდემიის და სირთულეების მიუხედავად, მტკიცე და შეუქცევად ძალისხმევას აგრძელებს ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით, რაც ქვეყნის დადებით შეფასებას განაპირობებს, კერძოდ, ოთხ შკალიანი რეიტინგული სისტემით, საქართველოს უმაღლესი შეფასება აქვს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველო 2016 წლიდან ინარჩუნებს ადგილს პირველ კალათაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის

სტანდარტებს და მუდმივ რეჟიმში აგრძელებს თანმიმდევრულ და კოორდინირებულ ღონისძიებებს ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საქართველო ერთადერთია, რომელიც პირველ კალათაში მოხვდა. ტრეფიკინგთან ეფექტიანი ბრძოლის კუთხით საქართველო ევროკავშირის ქვეყნების - ავსტრიის, ბელგიის, ჩეხეთის, ესტონეთის, საფრანგეთის, ფინეთის, ლიტვის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ესპანეთის, შვედეთის, სლოვენიისა და დიდი ბრიტანეთის გვერდითაა.

სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასება ისეთ ძირითად კომპონენტებს ეფუძნება, როგორებიცაა: სახელმწიფოს მიერ ტრეფიკინგის პრევენცია, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა, დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნა და ტრეფიკინგის პრევენციის და აღკვეთის კუთხით პარტნიორობა მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.

საქართველოს პროკურატურა ადამიანით მოვაჭრეების მიმართ მკაცრ პოლიტიკას ატარებს. პროაქტიულად ხდება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა იდენტიფიცირება, ტრეფიკინგის ყველა შესაძლო ფაქტზე მყისიერად იწყება გამოძიება და ხორციელდება ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობა, რაც სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების კვალიფიციური მხარდაჭერით სრულდება.

საქართველოს პროკურატურამ 2016-2020 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა 43 ტრეფიკიორის მიმართ დაიწყო, მათგან სრულწლოვნის ტრეფიკინგის ფაქტებზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო - 8 პირის მიმართ, ხოლო არასრულწლოვნის ტრეფიკინგის ფაქტებზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^2 მუხლით - 35 პირის მიმართ. რაც შეეხება განაჩენებს, ყველა ტრეფიკიორის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

2021 წლის მონაცემებით კი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 ტრეფიკიორის მიმართ. მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 მუხლით 5 პირის მიმართ, ხოლო 143^2 მუხლით 2 პირის მიმართ.

2021 წელს დაზარალებულად ცნობილი იქნა 8 პირი, მათ შორის 5 სრულწლოვანი და 3 არასრულწლოვანი.

- შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით, საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით, 2021 წელს ჩატარდა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების აღკვეთის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, შრომის ინსპეციის სამსახურის, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლები. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიზანი - შრომითი ტრეფიკინგის ფაქტებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება,

უწყებებს შორის კოორდინაციის გაძლიერება, მსხვერპლთა დაცვა და შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფაა.

- 2021 წელს საქართველოს პროკურატურაში, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, პირველად დაინერგა HELP-ის სასწავლო კურსი - ,,ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა და მსხვერპლთა დაცვა". აღნიშნული სასწავლო კურსი წარმატებით დაასრულა 22-მა პროკურორმა. სასწავლო კურსი საერთაშორისო და ეროვნული ნაწილისგან შედგებოდა და 3 თვის მანძილზე დისტანციურად მიმდინარეობდა.

- ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე 2021 წელს არაერთი ონლაინ სწავლება განხორციელდა. ტრენინგი ტრეფიკინგის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მსხვერპლთა დაცვის საკითხებს, ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებს, მათ შორის: ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციას, უცხო ქვეყნების საქმიანობის სპეციფიკის და უახლესი ტენდენციების გაცნობას შეეხებოდა.

- ამერიკის შეერთებული შტატების ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროსა (INL) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის ოპტიმიზაციის საკითხებზე ტრენინგი ჩატარდა, რომლის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ თანამედროვე ტექნოლოგიების, პროგრამების და აპლიკაციების გამოყენებას ინტერნეტში სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ, უცხო ქვეყნების საქმიანობის სპეციფიკას და უახლეს ტენდენციებს.

- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობით ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და ფსიქოლოგიური კონსულტაციის თემაზე ჩატარდა ტრენინგი. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ განევითარებინათ ის პროფესიული და პიროვნული უნარები, რომელიც ეხმარებათ ტრეფიკინგის მსხვერპლთან მუშაობის დროს. სწავლება ერთობლივი ფორმატის იყო და სამიზნე ჯგუფს პროკურორები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები წარმოადგენდნენ.

- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში უკანონოდ დარჩენის ფასილიტაციასთან ბრძოლის საკითხზე საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები, რომლის ფარგლებში, მოწვეული ექსპერტების მხრიდან განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მესამე ქვეყნის მოქალაქეების უკანონოდ ყოფნა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობა და სანქციები საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და ქვეყანაში უკანონოდ დარჩენისთვის პირობების შექმნის დანაშაულებზე. სწავლებისას ხაზი გაესვა საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას ოპერატიული ინფორმაციის გაზიარების და ნივთმტკიცებების შეგროვების მიმართულებით.

- ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მხარდაჭერით იტალიაში, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე სიმულაციური ტრენინგი ჩატარდა, რომელიც მიმართული იყო უწყებათაშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობის გამოკვეთაზე. სიმულაციურ ტრენინგში მონაწილეობდნენ საქართველოს პროკურატურის პროკურორები, გამომძიებლები, ტრეფიკინგის მსხვერპლების მხარდამჭერი უწყებების წარმომადგენლები ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა: ავსტრია, გერმანია, დანია, ესპანეთი და კანადა.

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

2020 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საპროცესო ხელმძღვანელობას სპეციალიზებული პროკურორები ახორციელებენ, რომლებმაც ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, გადამზადების სასწავლო კურსი გაიარეს. ამჟამად, სპეციალიზებულია 132 თანამშრომელი, მათ შორის - 37 მენეჯერი, 77 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი, 18 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

საქართველოს პროკურატურაში 2020-2021 წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად, რომელიც გამოიხატა სპეციალიზაციის დანერგვაში, სპეციალიზებულ პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და განგრძობად ტრენინგებში, მემორანდუმით გათვალისწინებული საერთაშორისო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაში, პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებაში, 2021 წელს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა იდენტიფიცირების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.კერძოდ:

2021 წელს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 834 პირის მიმართ, კერძოდ,

2021 წელს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე
სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



ამასთან, დისკრიმინაციის ორი სხვადასხვა ნიშნით ერთობლივად, კერძოდ,

მათ შორის, დისკრიმინაციის ორი სხვადასხვა ნიშნით სისხლისსამართლებრივი
დევნა დაიწყო:

2016-2021 წლის მონაცემებით კი შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა სულ 1509 პირის მიმართ დაიწყო.

2021 წლის მონაცემებით დაზარალებულად ცნობილ იქნა 895 პირი, მათ შორის 893 ფიზიკური და 2 იურიდიული პირი.

2020 წლის 23 სექტემბერს, საქართველოს პროკურატურას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, 2021 წლის 1 მარტს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე საპილოტე რეჟიმში გამოქვეყნდა 2020 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის სტატისტიკური ანგარიში. 2021 წლის სრული მონაცემები კი სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე 2022 წლის 1 მარტს გამოქვეყნდება.

2021 წლის 26 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა“ ფარგლებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სპეციალიზებული პროკურორებისა და მოსამართლეების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებული ძირითადი ტენდენციები, მიღწევები და გამოწვევები. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსამართლეების და პროკურორების ერთობლივი სამუშაო შეხვედრების მნიშვნელობას, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის საჭირო მოსაზრებების გაზიარებას და საერთო მიმართულებების დასახვას, რაც მნიშვნელოვნად გააფართოებს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან ეფექტიან ბრძოლას.

2021 წლის 3 აგვისტოს საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ევროპის საბჭოს პროექტის - „დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის“ ფარგლებში, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საქართველოს პროკურატურის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მენეჯერების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებული ძირითადი ტენდენციები, გამოწვევები და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები განიხილეს. ასევე, მონაწილეებმა იმსჯელეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების საუკეთესო პრაქტიკა და გამოძიებაში გასათვალისწინებელი ფაქტორები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით.

2021 წელს საქართველოს პროკურატურისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში წარმატებით განხორციელდა HELP-ის სასწავლო კურსი თემაზე - ,,სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა“. სასწავლო კურსი ორ ნაწილს მოიცავდა. პირველ ნაწილში მონაწილეები სიძულვილის ენის საერთაშორისო სტანდარტებს, ხოლო მეორე ნაწილში - უშუალოდ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების, სისხლისსამართლებრივი

დევნის და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის საკანონმდებლო ჩარჩოს, საერთაშორისო ინსტრუმენტებს და ევროპის საბჭოს საერთაშორისო ექსპერტების მიერ მომზადებულ მასალებს გაეცნენ. სასწავლო კურსში მონაწილეობას 25 სპეციალიზებული პროკურორი იღებდა. სწავლება 3 თვის მანძილზე გაგრძელდა.

სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის საკითხების სამართლებრივი რეგულირების და ლგბტქი ადამიანების საჭიროებებზე ორი ტრენინგი განხორციელდა, რომელშიც 31 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი იღებდა მონაწილეობას. სწავლების პროცესში მონაწილეები გაეცნენ: განსაზღვრებებსა და თეორიებს სქესის, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ჩამოყალიბების საკითხებზე. ლგბტქი ადამიანების გამოხატვის თავისუფლებისა და სამოქალაქო პარტნიორების მიმართ ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. სწავლება გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით განხორციელდა.

საქართველოს მთავრობის კოორდინაციით და ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროგრამის „ადამიანის უფლებები ყველასათვის - მეორე ფაზა“ ფარგლებში, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის (HRBA), დისკრიმინაციის აკრძალვისა და შრომითი უფლებების საერთაშორისო სტანდარტების თემაზე ტრენინგი ჩატარდა, რომელსაც საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საჯარო სამსახურის ბიუროს და სხვა უწყების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს პროკურატურა 2021 წლის 15-18 ნოემბერს ჩაერთო ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიაში და ,,თანასწორობის კვირეულის“ ფარგლებში, სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, სპეციალიზებულმა პროკურორებმა უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან და ქვემო ქართლის რეგიონის სკოლების მოსწავლეებთან ინტერაქციული შეხვედრები გამართეს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა

საქართველოს პროკურატურისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, შშმ პირთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე შშმ პირების უფლებების დაცვა მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 30 მარტის, ბრძანებით პროკურორებისთვის და სისტემის გამომძიებლებისთვის დამტკიცდა ორი სახელმძღვანელო მითითება:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა.

სახელმძღვანელო მითითებების მიზანია პროკურორისა და გამომძიებლის საქმიანობის წარმართვა შეზღუდული შესაძლებლობის, მათ შორის ფსიქიკური და ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, სამართალწარმოების ყველა სტადიაზე მათი თანასწორუფლებიანი, სრულფასოვანი და ეფექტიანი მონაწილეობა.

აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებები ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის სპეციფიკას, გამომძიებლისა და პროკურორის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების, ასევე საგამოძიებო ტექნიკების იმგვარად გამოყენების პოლიტიკას, რაც შშმ პირების ინტერესების ეფექტიან დაცვას, მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და გონივრული მისადაგების პრინციპს უზრუნველყოფს.

სახელმძღვანელო მითითებები სრულად შეესაბამება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ დადგენილ სტანდარტებს და განკუთვნილია პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების საპროცესო საქმიანობის ეფექტიანიად განხორციელებისთვის.

საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 30 მარტის ბრძანებით ასევე დამტკიცდა "საქართველოს პროკურატურის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა". აღნიშნული სამოქმედო გეგმა საჯაროა და ხელმისაწვდომია საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.[4]

გენერალური პროკურორის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის თანახმად, 2021 წელს საქართველოს პროკურატურის მიზნებს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ექსპლუატაციისგან, არასათანადო მოპყრობისგან და დისკრიმინიციისგან დაცვა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება. ამ მიზნების მისაღწევად საქართველოს პროკურატურამ ოთხი ამოცანა შეასრულა. კერძოდ: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან, შშმ თემის და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანს შშმ

[4] https://pog.gov.ge/uploads/24f5390e-saqarTvelos-prokuraturis-shezRuduli-shesaZleblobis-mqone-pirTa.pdf

პირთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის პროცესში საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღწევების, ასევე სისხლისსამართლის მართლმსაჯულებაში შშმ პირთა მონაწილეობით არსებული გამოწვევების გაზიარება წარმოადგენდა.

2021 წელს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების და კომუნიკაციის თემაზე ჩატარდა 2 სასწავლო აქტივობა, რომელშიც მონაწილეობდა საშუალო რგოლის 36 მენეჯერი. სწავლების პროცესში მონაწილეები გაეცნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფსიქოლოგიურ ასპექტებს და სწავლების მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და სწორი დამოკიდებულების ფორმირება.

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახური დანაშაული

2021 წელსაც, ისევე როგორც უკანასკნელი წლების განმავლობაში, მნიშვნელოვან მიმართულებად რჩებოდა ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახური დანაშაული.

ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი წლების მიხედვით ამგვარია:

ოჯახურ დანაშაულზე დევნის დაწყების მაჩვენებელი



ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი ყოველწლიური ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 2021 წელს ამ მაჩვენებელმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საერთო რაოდენობის 21,1% შეადგინა.

2014-2020 წლებში მუდმივად მზარდი იყო პროკურორების მიერ ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის პროცენტული

მაჩვენებელი. 2021 წელს, ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის პროცენტულმა მაჩვენებელმა დაიკლო მცირედით და 91% შეადგინა.

ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:

ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი



ოჯახურ დანაშაულზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ 2021 წელს დაკმაყოფილდა 51%, რაც 2020 წლის მონაცემთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.



სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის განხორციელების დროს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთას.

2016-2021 წლებში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივი გამოიკვეთა 1199 ბრალდებულის მიმართ. კერძოდ, 2016 წელს გამოიკვეთა - 3 ბრალდებულის, 2017 წელს - 25 ბრალდებულის, 2018 წელს - 111 ბრალდებულის, 2019 წელს - 120 ბრალდებულის, ხოლო 2020 წელს 208 ბრალდებულის მიმართ.

2021 წელს კი გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დევნის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 732 ბრალდებულის მიმართ, მათ შორის, გენდერისა და დისკრიმინაციის სხვა ნიშნების ერთობლიობით (შშმ, რელიგია, ეროვნული კუთვნილება და სექსუალური ორიენტაცია) - 8 პირის მიმართ.

დაზარალებულად კი ცნობილ იქნა 754 პირი, მათგან 741 ქალი, 11 კაცი და 2 ტრანსგენდერი ქალი.

საქართველოს პროკურატურა, 2019 წელს „ოჯახში ძალადობის ფაქტებზე შემაკავებელი ორდერების მონიტორინგის განხორციელების თაობაზე“ შემუშავებული რეკომენდაციის საფუძველზე, 2020-2021 წლებში მონიტორინგს უწევდა შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ თანამშრომელთა მიერ შემაკავებელი ორდერების გამოცემას და გამოძიების დაწყების შესახებ კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას. 2020-2021 წლებში განხორციელდა პროკურატურის დანაყოფებიდან მოწოდებული მონაცემების ანალიზი და შესწავლილ იქნა ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც ორდერების მონიტორინგის საფუძველზე პროკურორის მითითებით დაიწყო გამოძიება.

2021 წლის დასაწყისში განახლდა 2019 წელს შემუშავებული რეკომენდაცია „ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“. თვეების განმავლობაში ხორციელდებოდა რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი. შედეგების გაანალიზების

საფუძველზე, თბილისის და საოლქო პროკურატურების ხელმძღვანელ პირებს მიეცათ დამატებითი რეკომენდაციები სახელმძღვანელო მითითების ეფექტიანი აღსრულების მიზნით. 2021 წლის ბოლოს კი მომზადდა „ოჯახური დანაშაულის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების განახლებული ვერსია, რომელიც სამუშაო შეხვედრის ფორმატში წარედგინა გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედ სათათბირო ორგანოს –სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს და პროკურატურის სტრუქტურული და ტერიტორიული დანაყოფების ხელმძღვანელებს. წარდგენილი დოკუმენტის ირგვლივ საბჭოს წევრების და მენეჯერების მიერ გამოითქვა მნიშვნელოვანი მოსაზრებები, რაც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრას, ერთგვაროვანი საპროკურორო პრაქტიკის დანერგვას, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების გახორციელებას, რა დროსაც მაქსიმალურად სწორად შეფასდება დანაშაულის განმეორების რისკები, სასჯელის პრევენციული ეფექტი და გათვალისწინებული იქნება დაზარალებულთა პოზიცია.

ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების მიზნით, შესწავლილ იქნა სასამართლოს გადაწყვეტილებები - განაჩენები და განჩინებები. გაანალიზდა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისა და სასჯელების დანიშვნის პრაქტიკა. ანალიზის მიზანი იყო, ზუსტად განსაზღვრულიყო ის გარემოებები, რომლებსაც მხედველობაში იღებს სასამართლო მკაცრი თუ ლმობიერი სასჯელებისა და აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისას.

2021 წელს დაიგეგმა „მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის კვლევა“. კვლევა შეისწავლის სახელმწიფოს მხრიდან გატარებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის და განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობას. შეფასდება, თუ რამდენად მიიღწევა დანაშაულის პრევენციის და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნები მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკით, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია არსებულ მიდგომას, როგორც შედეგების, ასევე დახარჯული რესურსის გათვალისწინებით, წარმოადგენს თუ არა მოძალადის დაკავება, დაპატიმრება, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ძალადობის შემცირების ქმედით მექანიზმს და არის თუ არა სისხლის სამართლის პოლიტიკა მიმართული მოძალადის დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლისაკენ. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების დასახვისთვის. აღნიშნული კვლევა ტარდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით.

2021 წლის 16 ნოემბრიდან 3 დეკემბრის პერიოდში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის პროკურორი ოჯახში ძალადობის სპეციალიზაციით და ფულბრაითის პროგრამის ექსპერტი დევიდ მარტინი, რომელიც ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით პროკურატურის პოლიტიკას, პრიორიტეტებს, განხორციელებულ რეფორმებს, მიღწეულ პროგრესს და დაგეგმილ ღონისძიებებს გაეცნო და ექსპერტული დახმარება გაუწია.

ვიზიტის ფარგლებში ამერიკელმა ექსპერტმა და პროკურორმა სამუშაო შეხვედრები გამართა სპეციალიზებულ პროკურორებთან, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებთან, მოსამართლეებთან, ადვოკატებთან და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საკითხებზე მომუშავე სხვა უწყებებთან.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი სხვადასხვა შეხვედრები, ტრენინგები და ღონისძიებები, მათ შორის აღსანიშნავია :

- ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის თემაზე - პროკურორების, მოსამართლეების და ადვოკატების მონაწილეობით ორ დღიანი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაზე მონაწილეებმა იმსჯელეს გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული გამოწვევებსა და ტენდენციებზე, გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირების საკითხებზე, მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორის ფუნქციებზე და დაზარალებულზე ორიენტირებულ მიდგომებზე, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე მტკიცებულებათა სტანდარტზე და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის სპეციფიკაზე. შეხვედრის ფარგლებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ექსპერტმა და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის მრჩევლებმა შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარეს გამოცდილება და მისცეს მნიშვნელოვანი რეკომენდაციები.
- სამუშაო შეხვედრა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ოჯახური დანაშაულის საქმეებში. შეხვედრების ფარგლებში განხილული იქნა პროკურორისა და კოორდინატორის თანამშრომლობის ქართული და ამერიკული პრაქტიკა, მონაწილეებმა ისაუბრეს კოორდინატორის განსაკუთრებულ როლზე სამართალწარმოების პროცესში, დაზარალებულის ინტერესებზე მორგებული სამართალწარმოების განხორციელების, დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის, მისთვის შესაბამისი სერვისების დროულად მიწოდების, დაზარალებულთა ემოციური მხარდაჭერის მნიშვნელობაზე და გაცემული იქნა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები.
- ორ დღიანი ტრენინგი ოჯახში ძალადობის საკითხებში სპეციალიზებულ პროკურორებთან, სადაც ექსპერტმა სპეციალიზებულ პროკურორებს გაუზიარა ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით და პროკურორებს მისცა რჩევები სამართალწარმოების ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებით.

საქართველოს პროკურატურა ტრადიციულად ჩაერთო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი ყოველწლიურ გლობალური კამპანიაში. კამპანიის ფარგლებში:

- 2021 წლის 4 დეკემბერს სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა ონლაინ შეხვედრა, რომელზეც პროკურატურამ ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციების, მიღწევების, გამოწვევების და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის

სისხლის სამართლის საქმეებში გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის შესახებ ანგარიში წარადგინა.

- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, მულტისექტორული შეხვედრა გაიმართა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის რეზიდენტი მრჩეველი, ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში საქართველოში ვიზიტით მყოფი ამერიკელი ექსპერტი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის, პრობაციის ეროვნული სააგენტოს და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები. შეხვედრაზე თითოეულმა უწყებამ წარმოადგინა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მიღწეული პროგრესი და ასევე, განხილულ იქნა გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგანან სახელმწიფო უწყებები. შეხვედრის ფარგლებში, აქცენტი გაკეთდა უწყებებს შორის კოორდინირებული საქმიანობისა და მულტისექტორული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. ამერიკელმა ექსპერტმა მონაწილეებს აშშ-ის მულტისექტორული თანამშრომლობის წარმატებული მოდელი გააცნო და საქართველოში უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდაციები მისცა.
- კამპანიის ფარგლებში საქართველოს გენერალურ პროკურატურაში თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა. სპეციალიზებულმა პროკურორებმა, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, არსებული მიღწევები და გამოწვევები განიხილეს.

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა. სქესობრივი დანაშაულზე საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საქართველოს პროკურატურაში ამ კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე სპეციალიზაცია დაინერგა. საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 16 მარტის ბრძანებით 2021 წლის 10 აპრილიდან სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეებზე საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილებას ახორციელებენ მხოლოდ ის პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები, რომლებმაც სპეციალური სასწავლო კურსი გაიარეს.

სპეციალიზაციის სასწავლო მოდული გაეროს ქალთა ორგანიზაციის და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელდა. სპეციალიზაციის სასწავლო პროგრამა მოიცავდა ეროვნულ

კანონმდებლობაში არსებული სიახლეების, საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაცნობას.

პირველ ეტაპზე სპეციალიზაციის სასწავლო კურსი გაიარა 69 პროკურორმა და პროკურატურის ათმა გამომძიებელმა. 2021 წლის ნოემბერში განხორციელდა პროკურატურის მენეჯერთა კიდევ ერთი ჯგუფის სპეციალიზაცია, 2022 წელს კი იგეგმება მენეჯერთა ახალი ჯგუფის გადამზადება.

სწავლების ფარგლებში დაიფარა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- ✓ სქესობრივ დანაშაულებზე არსებული საერთაშორისო სტანდარტები და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები;
- ✓ სქესობრივ დანაშაულთა განმარტება და სქესობრივი დანაშაულების ურთიერთგამიჯვნის საკითხები;
- ✓ გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პრობლემური საკითხები;
- ✓ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების სტანდარტები;
- ✓ დაზარალებულად ცნობა და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომები;
- ✓ სისხლისსამართლებრივი დევნის მტკიცებულებითი სტანდარტი;
- ✓ გენდერული დისკრიმინაციის მოტივი სქესობრივ დანაშაულებში;
- ✓ შშმ პირებთან საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების სტანდარტები და სხვა.

სწავლების ფარგლებში ფართოდ იქნა განხილული არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების სამართალწარმოების საკითხები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გასათვალისწინებელი გარემოებები: ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულების მატერიალურსამართლებრივი, საპროცესოსამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები.

სპეციალიზაციის დანერგვამდე, პროკურორებისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ“.

რეკომენდაცია მოიცავს სქესობრივი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ- დაზარალებულად ცნობის სტანდარტს, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების და მტკიცებულებით სტანდარტს, საქმის სასამართლოში განხილვის ასპექტებს. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის და ფსიქოლოგის ჩართვის პრიორიტეტულობას. რეკომენდაცია მოიცავს აგრეთვე მითითებებს არასრულწლოვანთა მიმართ გასათვალისწინებელ განსაკუთრებულ გარემოებებთან დაკავშირებით, როგორიც არის რეფერირება, არასრულწლოვნის საქმეში კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის, ადვოკატის, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის, ფსიქოლოგის მონაწილეობა, არასრულწლოვანთან საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების დაგეგმვა და ჩატარება, არასრულწლოვნის დაცვის ღონისძიებები და სხვა.

2021 გაეროს ქალთა ორგანიზაციის, ევროპის საბჭოსა და ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „თანასწორობა ახლას“ (Equality Now) მხარდაჭერით შემუშავდა სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და ადგილობრივ და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებით შემუშავებულ ტექნიკებსა და მეთოდოლოგიას.

სახელმძღვანელო განკუთვნილია გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისათვის. აუცილებლად სახელმძღვანელოში ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: სექსუალური ძალადობის განმარტება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლო განხილვის სტანდარტები, გამოძიების პროცესში გენდერული მოტივის გამოკვეთის საკითხები და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომები, დაცვისა და დახმარების მექანიზმები, მტკიცებულებათა სტანდარტი, გამოკითხვის მეთოდოლოგია, ინფორმაციის კონფიდენციალურობა და უსაფრთხოების საკითხები და სხვა.

სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ საქართველოს პროკურატურის თანამშრომლები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, რათა სახელმძღვანელო მორგებული ყოფილიყო ადგილობრივ კონტექსტს.

პროკურატურა, უწყვეტი გადამზადების სისტემის ფარგლებში, მომავალშიც გეგმავს სქესობრივი დანაშაულის სპეციალიზებულ პროკურორთა და გამომძიებელთა კვალიფიკაციის კიდევ უფრო ამაღლებას, რაც საუკეთესო საგამოძიებო, საპროკურორო გამოცდილებას და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს დაეფუძნება. ასევე, დაგეგმილია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა გადამზადება ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის თემაზე.

სქესობრივ დანაშაულებზე პროკურორთა სპეციალიზაციის შემოღების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობა, რაც გასულ წელთან შედარებით სისხლისსამართლებრივი დევნის მონაცემების ფაქტიურად გაორმაგებაში გამოიხატა.



ამჟამად ხორციელდება და სამომავლოდაც გაგრძელდება სქესობრივი დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი, გაანალიზდება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სწორად და დროულად შეფასდეს, როგორც მიღწეული პროგრესი, ასევე გამოვლინდეს ხარვეზები და საჭიროებები.

ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმეთა განხილვა

საქართველოს მასშტაბით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა სულ 65 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგან 51 საქმე დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა) ან/და 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) მუხლებით, 8 სისხლის სამართლის საქმე შეეხებოდა სამოხელეო და ფინანსურ დანაშაულებს, 2 საქმე შეეხებოდა ოჯახში მომხდარ ძალადობას, 2 საქმე - თავისუფლების უკანონო აღკვეთას, 2 - საქმე არაადამიანურ მოპყრობას. 2021 წელს, კი ნაფიცმა მსაჯულებმა ყველაზე ბევრი 15 სისხლის სამართლის საქმე განიხილეს.

მკვლელობის 51 სისხლის სამართლის საქმიდან 36-ზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციით (სსკ-ის 109-ე ან/და 108-ე მუხლებით), 3 საქმეზე მსაჯულთა შემადგენლობამ გაიზიარა დაცვის მხარის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული ვერდიქტი და შეიცვალა არსებული კვალიფიკაცია, 3 საქმეზე ბრალდებულები დამნაშავედ იქნენ ცნობილნი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლთან ერთად წარდგენილ სხვა ბრალდებებში, 8 საქმეზე კი დადგა სრულად გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 1 საქმეზე ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი (ორი ბრალდებულიდან ერთ-ერთი დამნაშავედ იქნა ცნობილი მკვლელობის კვალიფიკაციით, ხოლო მეორე ამავე ბრალდებაში გამართლდა და დამნაშავედ იქნა ცნობილი სხვა ბრალდებით).



დარჩენილი 14 სისხლის სამართლის საქმე შეეხებოდა ძირითადად თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებს და ასევე, იმ დანაშაულებს, რომლებიც არ შეიცავს 108-ე და 109-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას. აღნიშნული საქმეების განხილვის დასასრულს ოთხ შემთხვევაში მსაჯულებმა მიიღეს გამამტყუნებელი, ხოლო ათ საქმეზე გამამართლებელი ვერდიქტი.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და არაადამიანური მოპყრობის (333-ე და 144[3] მუხლები) საქმე და მსაჯულთა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია და ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ სცნო.

საქმეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების უმთავრესი გამოწვევის, კოვიდ პანდემიის მიუხედავად, რომელმაც საგრძნობლად გაახანგრძლივა მსაჯულთა შერჩევის პროცესები, ძირითად შემთხვევებში საქმეების განხილვა დადგენილ საპროცესო/საპატიმრო ვადებში გაიმართა, რაც მნიშვნელოვნად განპირობებული იყო სასამართლო პროცესის ორგანიზებულად და ეფექტურად წარმართვით.

2021 წელს, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის უფრო ეფექტიანად მუშაობის მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, რომელთა შემუშავებაშიც პროკურატურამ მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო. კერძოდ, 2021 წლის 28 ივნისის კანონით შესაბამისი ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 31-ე (უარი ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე), 184-ე (სათადარიგო მოსამართლე), 221-ე (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის შედგენა), 223-ე (ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, აცილება და თვითაცილება) და 236-ე (ნაფიც მსაჯულთა (სათადარიგო მსაჯულთა, მსაჯულობის კანდიდატთა მოვალეობანი) მუხლებში.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლიდან ამოღებული იქნა მე-11 ნაწილი, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარეებს აღარ ექნებათ დამატებითი აცილებების გაცხადების უფლება ერთზე მეტი ბრალდებულის არსებობის პირობებში, შესაბამისად, როგორც დაცვის მხარეს, ასევე ბრალდების მხარეს ექნება უფლება მხოლოდ 6 დაუსაბუთებელი აცილება განაცხადოს, ხოლო თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, მხარეს მხოლოდ 10 დაუსაბუთებელი აცილების გაცხადების შესაძლებლობა ექნება.

საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გადაინაცვლა ნაფიცი მსაჯულის და ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ შესაბამისი მოვალეობების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხმა. ნაფიცი მსაჯულის და ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ შესაბამისი მოვალეობების შეუსრულებლობა ჩაითვლება არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობად.

აღნიშნულმა ცვლილებებმა ხელი უნდა შეუწყოს სასამართლო პროცესების უფრო სწრაფ და ეფექტურ განხორციელებას, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი ამოსავალი პრინციპია სისხლის სამართლის პროცესში სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.

იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო პერიოდში გაიზარდა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულ საქმეთა რაოდენობა, 2021 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროკურატურის სხვადასხვა დანაყოფების პროკურორების გადამზადებას. კერძოდ, 2021 წელს

განხორციელდა 5 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობდა 68 პროკურორი. ტრენინგებზე ნაფიც მსაჯულთა შერჩევის, შესავალი და დასკვნითი სიტყვის, პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის მნიშვნელოვანი ასპექტები იქნა განხილული. ასევე, საუბარი შეეხო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის პრაქტიკასა და არსებულ გამოწვევებს. 2021 წლის განმავლობაში 22 პროკურორს ტრენინგი ჩაუტარდა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის კითხვების მომზადების თემაზე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თემაზე ტრენინგები ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტთან (DOJ) თანამშრომლობით განხორციელდა.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის პოპულარიზაციის მიზნით, 2021 წლის ივნისში საქართველოს პროკურატურის და ენკომის თანამშრომლობით განხორციელდა ერთობლივი პროექტი სახელწოდებით: ,,დებატები ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თემაზე.“ პროექტის მიზანი იყო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებში თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ინკორპორაცია და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ ცნობიერების ამაღლება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2021 წლის 30 ივნისს ფინალურ შეხვედრაზე გამოვლინდა 3 საუკეთესო სპიკერი, რომელთაც მიეცათ შესაძლებლობა გაევლოთ პრაქტიკა და უშუალოდ ჩართულიყვნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფის სამმართველოს საქმიანობაში.

2021 წლის დეკემბერში საქართველოს პროკურატურამ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს აქტიური ხელშეწყობით დაიწყო მასშტაბური კამპანია ,,გახდი ნაფიცი მსაჯული“. კამპანიის მიზანია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება. საინფორმაციო კამპანიის პრეზენტაცია 2021 წლის 8 დეკემბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გაიმართა და მას ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის, საერთო სასამართლოების, ადვოკატთა ასოციაციის, იურიდიული დახმარების ბიუროს წარმომადგენლები და საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები ესწრებოდნენ. კამპანიის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები, რომლებშიც საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები საუბრობენ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე. სოციალური ხასიათის აღნიშნული ვიდეორგოლები სხვადასხვა მედია საშუალებებში იქნა გავრცელებული. საქართველოს შვიდ დიდ ქალაქში (თბილისში, რუსთავში, თელავში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში) განთავსდა სარეკლამო ბანერები ცნობადი სახეების გამოსახულებითა და კამპანიის სლოგანებით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თემაზე საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებსა და თოქ-შოუებში. კამპანიის ფარგლებში, შეიქმნა ფეისბუქ-გვერდი "მე ნაფიცი მსაჯული ვარ": https://www.facebook.com/napitsimsajuli.

აღსანიშნავია, რომ კამპანია გაგრძელდება 2022 წელს და მოიცავს ინტენსიურ ღონისძიებებს, რომელთა მთავარი დანიშნულება იქნება ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რათა მსაჯულთა მონაწილეობით სასამართლო პროცესები მომდევნო წლებში დაბრკოლებების გარეშე, საზოგადოების აქტიური ჩართულობით განხორციელდეს.

საქართველოს პროკურატურა მიმდინარე წელსაც გააგრძელებს სხვადასხვა საჭირო მიმართულებების განვითარებას, ნაფიცი მსაჯულების სასამართლო პროცესზე პროკურორების მიერ სახელმწიფო ბრალდების სათანადო წესით მხარდაჭერისა და არსებული გამოწვევების გამკლავების მიზნით.

საპროკურორო ზედამხედველობა და ანალიტიკური საქმიანობა

საქართველოს პროკურატურის განვითარების, საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობის და ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფის, დანაშაულისა და სტატისტიკური ინფორმაციის გაანალიზების მიზნით, 2021 წლის განმავლობაში, საქართველოს პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ შემდეგი მიმართულებებით იქნა გაწეული სამუშაო:

სახელმძღვანელო მითითებები

2021 წელს საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის შემუშავდა შემდეგი სახელმძღვანელო მითითებები:

- სახელმძღვანელო მითითება საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით ბრალდებულის სავალდებულო დაცვით უზრუნველყოფის შესახებ;
- სახელმძღვანელო მითითება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის პრაქტიკაში გამოყენების შესახებ;
- სახელმძღვანელო მითითებები დაზარალებულისათვის საქმის მასალების გაცნობისა და ნივთების დაბრუნების შესახებ;
- სახელმძღვანელო მითითება ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ;
- სახელმძღვანელო მითითება არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდება-მედიაციის საქმეთა და რეფერირების მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ;
- სახელმძღვანელო მითითება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით ბრალდებული პირისთვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ;
- სახელმძღვანელო მითითება ნარკოტიკულ დანაშაულში ბრალდებული პირისთვის მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ;
- სახელმძღვანელო მითითება „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ“.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების 2020 წლის შედეგების გაანალიზების საფუძველზე მომზადდა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების შესახებ“ ანგარიში. ანგარიში გამოქვეყნდა საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე და მოიცავს ძირითად სტატისტიკურ ინფორმაციას არასრულწლოვანთა განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ. ანგარიშში მოცემულია მიგნებები, რომლებიც გასული წლების მონაცემებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა.

ანალიტიკური საქმიანობა

- 2021 წელს სამართლებრივი კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა 2021 წლის პირველ ექვს თვეში გამოტანილი ნაწილობრივ გამამართლებელი და სრულად გამამართლებელი განაჩენები, რომელთა შესწავლის გზით განზოგადდა მიზეზები, რაც საფუძვლად დაედო სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. მოხდა გამოძიების და საქმის სასამართლო განხილვის პროცესში არსებული იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რაც გახდა ბრალდებულის გამართლების საფუძველი. კვლევის მიზანია, გამოვლენილი ტენდენციები გაზიარებულ იქნეს საქართველოს პროკურატურის ყველა თანამშრომელთან, რათა მომავალში მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საპროცესო და კვალიფიკაციის ხარვეზების დაშვების ალბათობა. ასევე, შესწავლილ იქნა 2021 წელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი ვერდიქტები. ანალიზის შედეგად მოხდა გამოძიების პროცესში არსებული იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რაც გარკვეულწილად გახდა გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანის საფუძველი.
- შესწავლილ იქნა ყველა ის სისხლის სამართლის საქმე, სადაც 2021 წლის განმავლობაში სასამართლომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები: განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საქმეებზე შეცვალა კვალიფიკაცია, პირველი წარდგენის სხდომაზე დაკავებიდან გაათავისუფლა ბრალდებული, უკანონოდ ცნო გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება, უარი თქვა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე, დაუშვებლად ცნო წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მტკიცებულებები და შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა. სასამართლოს მიერ მიღებული ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გაანალიზების და მიზეზების განზოგადების შემდგომ, გამოვლენილი ტენდენციები გაზიარებული იქნება საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებთან. სასამართლოს მიერ ცალკეულ საკითხებთან მიმართებით დადგენილი პრაქტიკის გაცნობა და გათვალისწინება ხელს შეუწყობს გამოძიების, საპროცესო ზედამხედველობისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის გაუმჯობესებას.
- მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების განმარტებების სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც ასახულია 2021 წლის პირველ ექვს თვეში გამოტანილი გადაწყვეტილებების საკვანძო ასპექტები. დოკუმენტის მომზადების მიზანია პროკურორებს დამუშავებული სახით მიეწოდოთ ინფორმაცია უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებებში განმარტებულ სამართლებრივ საკითხებზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას, სამართალწარმოების სწორი პროცედურების დანერგვას, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხის გაზრდას.
- შესწავლილ იქნა 2021 წლის 3 თვეში ოჯახური დანაშაულის საქმეებზე დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენები, სადაც მხარეებს შორის დადებული იყო საპროცესო შეთანხმება. ანალიზის მიზანი იყო იმის დადგენა, რამდენად სრულყოფილად სრულდება

პროკურორების მიერ „ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითება. შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ქ. თბილისის და საოლქო პროკურატურების ხელმძღვანელ პირებს მიეცათ დამატებითი რეკომენდაციები სახელმძღვანელო მითითების ეფექტიანი აღსრულების მიზნით.

- გაანალიზდა 2018-2021 წლებში ქორწინების იძულების ფაქტებზე დაწყებული სისხლის სამართლის საქმეები, იმის დასადგენად, თუ რამდენად დროულად, სრულყოფილად, ეფექტიანად ხორციელდება აღნიშნული კვალიფიკაციით მიმდინარე საქმეებზე გამოძიება, რაც მათ შორის არსებულ ტენდენციებზე დაკვირვების შესაძლებლობას, ხარვეზების გაანალიზებისა და აღმოფხვრის საშუალებას იძლევა.
- გაანალიზდა 2018-2021 წლებში ადევნების ფაქტებზე გამოძიებადაწყებული სისხლის სამართლის საქმეები იმის დასადგენად, რამდენად სრულყოფილად და ეფექტიანად ხორციელდება საპროკურორო საქმიანობა ამ ტიპის დანაშაულებზე. ანალიზის ფარგლებში მოხდა დაკვირვება არსებულ ტენდენციებზე, დაიდენტიფიცირდა ხარვეზები და პრაქტიკული პრობლემები, რაც მოგვცემს საშუალებას დაიგეგმოს მათი აღმოფხვრის გზები.
- შესწავლილ იქნა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები. მომზადდა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით მიმდინარე საქმეებზე ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება.
- განხორციელდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი. განსაკუთრებული ყურადღება მონიტორინგის დროს დაეთმო სქესობრივი დანაშაულების არასრულწლოვან დაზარალებულებს. გამოძიების ამოწურვისა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით მომზადდა და პროკურატურის შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებს გაეგზავნა 21 წერილობითი მითითება აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ.
- შესწავლილ იქნა სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც 2020-2021 წლებში გამოძიება შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ანალიზის ფარგლებში მოხდა დაკვირვება არსებულ ტენდენციებზე, დაიდენტიფიცირდა ხარვეზები და პრაქტიკული პრობლემები, რაც მოგვცემს საშუალებას დაიგეგმოს მათი აღმოფხვრის გზები.
- შესწავლილ იქნა საქართველოს პროკურატურის ლოკალურ გვერდზე – http://intranet.pog.gov.ge/ ამოქმედებული პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა დატვირთვის და საქმეთა თანაბარი განაწილების პლატფორმის ეფექტიანობა, დაიდენტიფიცირდა პრობლემები და შემუშავდა რეკომენდაციები მათი გადაჭრის მიზნით. მოხდა დაკვირვება არა მხოლოდ ზოგად ტენდენციებსა და კანონზომიერებებზე, არამედ ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ჭრილში

შეფასდა პორტალის ეფექტიანობა და მოქნილობა. მოხდა დაკვირვება ტენდენციაზე – სისტემის ამოქმედებიდან დღემდე შეიცვალა თუ არა პროკურორთა დატვირთვა, მოახდინა თუ არა დადებითი ეფექტი პლატფორმამ პროკურორთა ყოველდღიურ საქმიანობაზე და რამდენად გათანაბრდა თანამშრომელთა დატვირთულობის კოეფიციენტი.

BENC & BAR

2020 წლის16 ივლისს საქართველოს უზენაესს სასამართლოსთან და ადვოკატთა ასოციაციასთან ერთად, ხელი მოეწერა მემორანდუმს მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (BENC & BAR) დაარსების შესახებ.

საბჭოს მიზანია ხელი შეუწყოს იურიდიული პროფესიის გაძლიერებას, პროფესიათა შორის ურთიერთპატივისცემას, ჯანსაღი კოლეგიალური დამოკიდებულების და საერთო ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას, აზრთა თავისუფალ გაზიარებას, მართლმსაჯულებისადმი, საზოგადოების ნდობის და მართლმსაჯულების სისტემის პროფესიონალთა კომპეტენციის ამაღლებას.

2021 წელს Benc & bar -ის ფორმატში ორი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. 2021 წლის 30 ივნისს საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის მხარდაჭერით და მონაწილეობით გამართულ სხდომაზე განხილული იყო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა, დასაბუთებულობის ხარისხის გაზრდა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკასთან შესაბამისობა, არსებული ხარვეზები და მათი გადაჭრის გზები.

2021 წლის 14 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით გამართულ Bench & Bar-ის შეხვედრის ფარგლებში, კი, რომელსაც საქართველოში აშშ ელჩი და იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ მონაწილეებმა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში უწყვეტი სასამართლო განხილვის პრინციპის გამოწვევებზე ისაუბრეს. მხარეებმა ერთმანეთს მოსაზრებები გაუზიარეს და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების საჭიროებასა და მათი განხორციელების სამომავლო გეგმებზე შეთანხმდნენ.

ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს პროკურატურაში მუშაობდა 788 თანამშრომელი, მათ შორის, 314 ქალი და 474 მამაკაცი.

788 თანამშრომლიდან:

- 429 პროკურორი. მათ შორის 145 ა ქალი და 284 - მამაკაცი;

- 83 გამომძიებელი. მათ შორის 8 ქალი და 75 - მამაკაცი;
- 130 პროფესიული საჯარო მოხელე. მათ შორის 114 ქალი და 16 - მამაკაცი;
- 146 ხელშეკრულებით მიღებული თანამშრომელი. მათ შორის 47 ქალი და 99 - მამაკაცი.

788 თანამშრომლიდან მენეჯერულ პოზიციას იკავებდა 141 თანამშრომელი, მათ შორის 16 ქალი. მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი ქალებიდან:

- 1 გენერალური პროკურორის მოადგილე;
- 2 დეპარტამენტის უფროსი;
- 2 დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- 4 სამმართველოს უფროსი;
- 1 თბილისის პროკურორის მოადგილე;
- 3 რაიონული პროკურორი;
- 3 რაიონული პროკურორის მოადგილე.

2021 წელს საქართველოს პროკურატურაში დაინიშნა 70 ახალი თანამშრომელი- მათ შორის 30 პროკურორი, 5 გამომძიებელი, 2 პროფესიული საჯარო მოხელე და 33 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

2021 წელს საქართველოს პროკურატურიდან დათხოვნილ იქნა 61 თანამშრომელი - მათ შორის 17 პროკურორი, 3 გამომძიებელი, 10 პროფესიული საჯარო მოხელე და 31 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

განხორციელდა 72 შიდა საკადრო გადაადგილება, მათ შორის 63 პროკურორის, 2 გამომძიებლის და 7 პროფესიული საჯარო მოხელის.
2021 წელს წახალისებულ იქნა 278 თანამშრომელი, მათ შორის 196 თანამშრომელს გამოეცხადა მადლობა, 70 თანამშრომელს მიენიჭა ვადამდე წოდება, 8 თანამშრომელს მიენიჭა პროკურატურის საპატიო თანამშრომლის წოდება და დაჯილდოვდა შესაბამისი სამკერდე ნიშნით, 4 თანამშრომელს ვადამდე მოეხსნა დისციპლინური სახდელი.

2021 წელს პროფესიული საჯარო მოხელის შესარჩევად ჩატარდა 10 ღია კონკურსი, აქედან 1 კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად.

2021 წელს ღია კონკურსი გამოცხადდა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებლის და სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობებზე. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებდნენ კანონით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კონკურსანტებმა გაიარეს გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან, რის შემდეგაც წარმატებული 2 კანდიდატი წარედგინა საქართველოს გენერალურ პროკურორს, რომლებიც შესაბამისი ბრძანებით დაინიშნენ ვაკანტურ თანამდებობებზე .

გენდერული ორგანიზაციული პოლიტიკის გაუმჯობესება

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, 2021 წელს საქართველოს პროკურატურაში თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი ჩატარდა, რომლის ფარგლებში ექსპერტებმა შეაფასეს, რამდენად პასუხობს საქართველოს პროკურატურის საქმიანობა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ ქვეყნის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე აღებულ ვალდებულებებს. ასევე, პროკურატურის პოლიტიკის გენდერული ანალიზის საფუძველზე, აღნიშნული პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები შემუშავდა.

გენდერული აუდიტით განსაზღვრული რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურაში გენდერული თანასწორობის სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით შეიქმნა გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი.

ამავე აუდიტის რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, საქართველოს პროკურატურაში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი დამტკიცდა, რომელიც განსაზღვრავს სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებსა და სექსუალური შევიწროების შემთხვევებში დისციპლინური წარმოების საკითხებს. სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმის ეფექტიანად აღსრულების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, საქართველოს პროკურატურაში შეიქმნა მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს საქართველოს პროკურატურაში გენდერული პოლიტიკის გაუმჯობესებას.

2022 წელს დაგეგმილია პროკურატურის გენდერული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რათა გენდერული საკითხები და მათი განხორციელების პროგრამები პროკურატურის მიზნებსა და ამოცანებში ეფექტიანად ინტეგრირდეს. მნიშვნელოვანია, გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის მართვას ორგანიზაციაში თანმიმდევრული ხასიათი ჰქონდეს, გენდერული თანასწორობის პრინციპები აისახოს პროკურატურის სერვისებსა და საზოგადოებრივ იმიჯში, ხოლო ადამიანური რესურსების მართვაში დაინერგოს გენდერული პოლიტიკა.

რანგირების სისტემა

საქართველოს პროკურატურაში 2020 წლიდან დაინერგა საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების სისტემა და საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 21 აგვისტოს №036 ბრძანებით, დამტკიცდა „საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების წესი“, რომელიც ამოქმედდა 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

2021 წელს საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანების შესაბამისად, ჩატარდა საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოს – რანგირების საბჭოს ორი სხდომა.

2021 წლის მაისში ჩატარებულ სხდომაზე, რანგირების საბჭოს სამდივნომ საბჭოს წარუდგინა ინფორმაცია და მასალები 22 პროკურორისთვის და პროკურატურის გამომძიებლისთვის მეორე ან/და პირველი რანგის თავდაპირველად მინიჭების და რანგში დაწინაურების თაობაზე. საბჭოს სხდომაზე კენჭისყრით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 6 პროკურორისთვის პირველი რანგის, ხოლო 16 პროკურორისთვის/გამომძიებლისთვის მეორე რანგის მინიჭების თაობაზე.

2021 წლის დეკემბერში ჩატარდა რანგირების საბჭოს მეორე სხდომა, რომელზეც საბჭოს სამდივნომ რანგირების საბჭოს წარუდგინა მასალები და ინფორმაცია 29 პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებლისათვის მეორე ან/და პირველი რანგის თავდაპირველად მინიჭებისა და რანგში დაწინაურების თაობაზე. საბჭოს სხდომაზე კენჭისყრით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 7 პროკურორისთვის პირველი რანგის, ხოლო 16 პროკურორისთვის/გამომძიებლისთვის მეორე რანგის მინიჭების თაობაზე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 135 პროკურორს/გამომძიებელს აქვს მინიჭებული პირველი და მეორე რანგი. მათ შორის, პირველი რანგი მინიჭებული აქვს 34 პროკურორს და 9 გამომძიებელს, ხოლო მეორე რანგი - 71 პროკურორსა და 21 გამომძიებელს.

სტაჟიორთა კონკურსი

საქართველოს პროკურატურის ახალი კადრებით შევსების ძირითადი საფუძველი სტაჟირების სისტემაა. პროკურატურა ახალი და კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით, პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლის უფლებამოსილების განმახორციელებელ სტაჟიორთა მისაღებად, ყოველ წელს აცხადებს კონკურსს.

სტაჟირების კონკურსი გამოცხადდა 2021 წლის 6 სექტემბერს და საპროკურორო უფლებამოსილების განმახორციელებელ სტაჟიორთა კონკურსზე განაცხადი 644-მა პირმა შემოიტანა, საიდანაც აპლიკაციების გადარჩევის შედეგად შეირჩა 614 კანდიდატი. ხოლო, პროკურატურის გამომძიებლის უფლებამოსილების განმახორციელებელ სტაჟიორთა კონკურსზე განაცხადი 340-მა პირმა შემოიტანა, საიდანაც აპლიკაციების გადარჩევის შედეგად შეირჩა 308 კანდიდატი. შესაბამისად, საპროკურორო და საგამოძიებო მიმართულებაზე კონკურსის პირველი ეტაპი (დოკუმენტების გადარჩევის) წარმატებით გაიარა – 922 კონკურსანტმა.

კონკურსის შემდგომი ორი ეტაპი (ტესტირება სპეციალობაში და ტესტირება ზოგად უნარებში) საპროკურორო და საგამოძიებო მიმართულებაზე წარმატებით გაიარა – 83 კონკურსანტმა (77 საპროკურორო და 6 საგამოძიებო).

სტაჟირების კონკურსი სულ 4 ეტაპისგან შედგება. საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების შემდეგ, შერჩეულ საუკეთესო მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცემათ ერთ წლიანი ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარონ საქართველოს პროკურატურაში, ხოლო სტაჟირების წარმატებით გავლისა და დადებითი შეფასების შემდეგ, დაინიშნონ პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობებზე.

სტაჟიორ-პროკურორის და სტაჟიორ-გამომძიებლის ხელფასი 2020 წელს გაიზარდა და ყოველთვიურად 960 ლარს შეადგენს.

პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

2021 წელს საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისათვის, შიდა რესურსის გამოყენებით და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, სულ განხორციელდა 130 აქტივობა, რომელშიც ჩართული იყო 1200 მონაწილე.

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან ბრძოლა

- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეებზე სპეციალიზებული პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის ჩატარდა 4 კურსი 79 თანამშრომლის ჩართულობით. სწავლების ფარგლებში განიხილებოდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: სქესობრივ დანაშაულებზე არსებული საერთაშორისო სტანდარტები, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები, სქესობრივ დანაშაულთა განმარტება, სქესობრივი დანაშაულების ურთიერთგამიჯვნის საკითხები, მტკიცებულებათა მოპოვება, მტკიცებულებითი სტანდარტი, დაზარალებულად ცნობის და დაზარალებულის უფლებების დაცვის სტანდარტები, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მექანიზმები, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთან გასათვალისწინებელი გარემოებები და მიდგომები, სქესობრივ დანაშაულებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთის საკითხები, შშმ პირების მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების სპეციფიკა, სექსუალური ძალადობა და ტრავმა, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთან ურთიერთობის ფსიქოლოგიური თავისებურებები და ა.შ. სასწავლო კურსი ევროპის საბჭოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა.
- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე ევროკავშირის პროექტთან თანამშრომლობის ფარგლებში სპეციალიზებულმა პროკურორებმა მონაწილეობა მიიღეს ონლაინ ტრენინგში.
- წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) ორგანიზებით, თემაზე ,,ტრავმა-ინფორმირებული მიდგომა სქესობრივი დანაშაულების სამართალწარმოების პროცესში“ ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი.
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის, სქესობრივი დანაშაულების მსხვერპლთა გამოკითხვის თემაზე.

ოჯახური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა

- ევროპის საბჭოს პროექტთან - „ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა“ თანამშრომლობით განხორციელდა HELP-ის სასწავლო კურსი თემაზე - „ქალთა

მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა.“ პროგრამა ერთდროულად ექვს ქვეყანაში დაიწყო და სამ თვიან სწავლებაში საქართველოს პროკურატურის ოცი წარმომადგენელი მონაწილეობდა. კურსის შედეგების შეჯამების, მიღწეული პროგრესისა და არსებული გამოწვევების განხილვის მიზნით, საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ევროპის საბჭოს პროექტის “ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა” ორგანიზებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აღნიშნული სასწავლო კურსის ტუტორებმა და პროექტის ეროვნულმა პარტნიორებმა.

- ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თემაზე, ჩატარდა ონლაინ შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა ევროპული და სტამბულის კონვენციის გავლენა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: კოვიდ-19-ის გავლენა ქალთა მიმართ ძალადობაზე, გენდერულ მიკერძოებაზე და სტერეოტიპებზე.
- ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით საქართველოს პროკურატურის ორმოცდაერთმა თანამშრომელმა სპეციალიზაციის პრო კურსი გაიარა. კურსი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: მტკიცებულებათა მოპოვება და შეფასების თემატიკა, საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა, ოჯახური დანაშაულის ანალიზი, ტენდენციები, რეკომენდაციები. დაზარალებულის გამოკითხვა და მასთან კომუნიკაცია, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთან, მოწმესთან და მოძალადესთან მუშაობის ფსიქო-ემოციურ ასპექტები, ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობა და სხვა.
- ტრენერთა ტრენინგი ჩატარდა სპეციალიზებული პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით ოცდათექვსმეტმა თანამშრომელმა სპეციალიზაციის ორი კურსი გაიარა, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, კანონმდებლობაში დანერგილი სიახლეები, საერთაშორისო სტანდარტები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფსიქოლოგიური ასპექტები, ბავშვის განვითარების თავისებურებები, არასრულწლოვანთა დაკითხვის/გამოკითხვის ტექნიკები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.
- გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, საქართველოში იგეგმება ბავშვთა ინტეგრირებული მომსახურების ცენტრის, ბარნაჰუსის გახსნა. ცენტრი მოემსახურება სექსუალური ხასიათის ძალადობის სავარაუდო მსხვერპლებს/დაზარალებულებს და მათ ოჯახის წევრებს. ამ მიზნით, 2021 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურისა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ერთობლივი თანამშრომლის ფარგლებში, დაიწყო ერთიანი გადამზადების პროცესი და ტრენინგში მონაწილეობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასა და სქესობრივ დანაშაულში სპეციალიზებულმა ოცდათერთმეტმა თანამშრომელმა მიიღო.

ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

- საქართველოს პროკურატურის და ევროკავშირის პროექტის - „ევროკავშირის მოქმედება ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ (EU-ACT) თანამშრომლობის ფარგლებში, ნარკოტიკული დანაშაულის თემაზე პროკურორებმა საერთაშორისო ექსპერტთან ერთად, ტრენერთა ტრენინგის სამ ეტაპიანი მოსამზადებელი კურსები გაიარეს. ტრენინგზე განიხილეს შემდეგი საკითხები: ნარკოტიკული დანაშაულის სპეციალური საგამოძიებო ტექნიკები, მტკიცებულებების მოპოვება, სატელეფონო მიყურადება, კონტროლირებადი მიწოდება, ფარული აგენტები, ნარკოტიკების მომხმარებელთა სტიგმა და დისკრიმინაცია, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, საერთაშორისო თანამშრომლობა, პარალელული ფინანსური გამოძიება და სხვა.
- პროექტთან - „ევროკავშირის მოქმედება ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ (EU-ACT) თანამშრომლობის ფარგლებში, ჩატარდა ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, საქართველოს, უკრაინისა და რუმინეთის პროკურორების მონაწილეობით ონლაინ ტრენინგი. ტრენინგზე ისაუბრეს ნარკოტიკებით ვაჭრობის საქმეებზე გამოძიების პროცესში საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და გაეცნენ ამ მიმართულებით ესპანეთის საუკეთესო პრაქტიკას.

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან თანამშრომლობით პროკურატურის ჩვიდმეტმა თანამშრომელმა კიბერდანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის თემაზე ტრენინგები გაიარა. აღნიშნული ჯგუფისთვის დაიგეგმა ერთ წლიანი გადამზადების პროგრამა კიბერდანაშაულის თემაზე კვალიფიკაციის ამაღლების და კიბერდანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის საკითხებზე ცოდნის გაღრმავებას მიზნით.
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან თანამშრომლობით პროკურატურის ცამეტი თანამშრომლისთვის ჩატარდა ტრენინგი ღია ინტერნეტ წყაროებიდან ინფორმაციის შეგროვება/მოპოვების და კრიპტოვალუტის უკანონოდ გამოყენების დანაშაულების გამოძიების თემებზე.
- საერთაშორისო და სტრატეგიული კვლევების ფონდის (GFSIS) ორგანიზებით ჩატარდა კიბერუსაფრთხოებისა და კიბერდანაშაულის გამოძიების სპეციალიზებული რვა თვიანი ჩვიდმეტი მოდულისგან შემდგარი სასწავლო პროგრამა, რომელშიც საქართველოს პროკურატურის ოთხი თანამშრომელი მონაწილეობდა. პროგრამა მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: ციფრული ექსპერტიზა, მავნე პროგრამული უზრუნველყოფის ანალიზი, ალგორითმები და დიდი მონაცემები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, მონაწილეებს სერტიფიკატები (Completion Certificate) გადაეცათ, რომელიც ადასტურებს სწავლის პერიოდში მიღებული კომპეტენციის შესაბამის დონეს.

- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და ევროპის საბჭოს ორგანიზებით თემებზე - პროფესიონალური კურსი ინფორმაციულ ტექნოლოგიების უსაფრთხოებაში და კიბერდანაშაულის გამოძიება მასობრივი იარაღის განადგურების დროს, ონლაინ ტრენინგი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა ორმა პროკურორმა მიიღო.
- კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის და ელექტრონული მტკიცებულებების მიმართულებებით ჩატარდა შვიდი სასწავლო აქტივობა. სასწავლო პროცესში მონაწილე პროკურორები გაეცნენ კიბერდანაშაულის საფრთხის შეფასებას, ელექტრონული მტკიცებულების შეგროვების, გამოყენების ძირითად პრინციპებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სწავლებები ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, ევროპის საბჭოს, ევროკავშირის და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ჩატარდა.
- კიბერდანაშაულის და კრიპტოვალუტების თემაზე განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ბუდაპეშტში. ტრენინგებში პროკურორებთან და პროკურატურის სისტემის გამომძიებლებთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

სხვადასხვა მიმართულებები

- ევროკავშირის სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის სააგენტოსთან (EUROJUST) თანამშრომლობის ფარგლებში, ონლაინ ფორმატში ჩატარდა რეგიონალური ღონისძიება „TAIEX International Forum for Prosecutors on Fighting Cross-Border Organised Crime“. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ექსპერტების გამოცდილებას ტრანსსასაზღვრო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის და მასთან დაკავშირებული ახალი გამოწვევების შესახებ, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა კიბერდანაშაულზე და მასთან დაკავშირებული გამოწვევებზე, ტერორიზმზე, რადიკალიზაციასა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაზე.
- ევროკავშირის პროექტის „სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში“ და ,,კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში” პროექტის ორგანიზებით ფარული საგამოძიებო მოქმედებების თემაზე 22 პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლისთვის ჩატარდა ტრენინგი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: თვალთვალი, მიყურადება, ქონებრივ უფლებებში ჩარევა, ფარული დაზვერვის წყაროები, საიდუმლო პირები და სხვა.
- ამერიკის შეერთებული შტატების ორგანიზებით, საქართველოს პროკურატურის შვიდი თანამშრომლის მონაწილეობით, ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე - საჯარო რეესტრი ავსტრიაში, საფრანგეთში, იტალიაში და ინგლისში. სწავლების ფარგლებში განხილული იქნა სამართალდამცავების მიერ საჯარო რეესტრისა და საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების გამოყენებით კომპანიების მფლობელობაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ასევე, ინფორმაციის მოპოვება მაშინ, როდესაც ეს ქონება მდებარეობს

ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ქვეყნებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობა, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა და სხვა. ტრენინგს უძღვებოდნენ ავსტრიიდან, იტალიიდან, ინგლისიდან და ბულგარეთიდან მოწვეული ექსპერტები.

- ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით, საქართველოს გენერალური პროკურატურის 30 პროკურორს და გამომძიებელს, IBM I2 პროგრამის დიაგრამების ანალიზის კურსი ჩაუტარდა. ტრენინგის მონაწილეებმა შეიძინეს პროგრამული უზრუნველყოფის მართვის უნარები, რაც დაეხმარებათ, კარგად განვითარებული დანაშაულებრივი ქსელების ეფექტიანი და დროული გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში. IBM i2 პროგრამა წარმოადგენს პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც გამოიყენება ფულის გათეთრების, კიბერდანაშაულის, თაღლითობის და სხვა კომპლექსური ხასიათის დანაშაულების გამოძიების პროცესში და უზრუნველყოფს საგამოძიებო ინფორმაციის დროულ შეგროვებას, გაცვლას, ანალიზს, რათა დანაშაულებრივი საქმიანობის იდენტიფიცირება, პროგნოზირება, დანაშულის თავიდან აცილება და ხელის შეშლა უფრო ეფექტურად მოახდინონ. სწავლებას ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს სასწავლო ინსტრუქტორები უძღვებოდნენ.
- ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით 27 პროკურორს და პროკურატურის გამომძიებელს საერთაშორისო თანამშრომლობის თემაზე 2 სასწავლო კურსი ჩაუტარდა. ტრენინგის ფარგლებში განხილული იქნა შემდეგი საკითხები ელექტრონული მონაცემების გამოთხოვა უცხო ქვეყნიდან, სამართლებრივი დახმარება ელექტრონულ მონაცემებთან დაკავშირებით, ტრადიციული სამართლებრივი დახმარება და მათთან დაკავშირებული საკითხები.
- აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტების თემაზე პროკურორებისთვის 6 ტრენინგი ჩატარდა, რომელშიც 84 პროკურორი მონაწილეობდა და რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა შემდეგი საკითხები: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით დაშვებული თავისუფლების აღკვეთა და ეროვნული კანონმდებლობა, აღკვეთის ღონისძიების სახეები, გამოყენების სტანდარტები, ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკა და სხვა. ტრენინგები ევროპის საბჭოს ექსპერტის დახმარებით შემუშავებული სასწავლო მოდულის მიხედვით ჩატარდა.
- ევროპის საბჭოს მხარდაჭერით სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების თემაზე პროკურატურის თანამშრომლებისთვის 3 ტრენინგი ჩატარდა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თემაზე ჩატარებულ ტრენინგზე განხილული იქნა: საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ნორმები, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის შესაბამისი მუხლები, შიდა რეკომენდაციები, ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. სწავლების მიზანი, სამართლიანი სასამართლოს თემაზე მონაწილეების კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად, ყოველდღიურ სამუშაო პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობაა.
- ევროკომისიის დაფინანსებით Erasmus + პროგრამის Jean Monnet Project-ის „ევროკავშირის სამართლებრივი სახე“ (LFEU) ფარგლებში, თემაზე - პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი ჩარჩო ევროკავშირში, ევროსაბჭოსა და საქართველოში პროკურორებისთვის,

ჩატარდა ტრენინგი. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ პერსონალური მონაცემების დამუშავების და ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროს. დეტალურად განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, მონაცემთა დამუშავება, სპეციფიური რეგულაციები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტები.

პროკურატურის შესაძლებლობების გაძლიერება

- ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის და საქართველოს პროკურატურის თანამშრომლობის ფარგლებში პროკურატურის თანამშრომლებისთვის ეფექტიანი კომუნიკაციის, არგუმენტირებული პოზიციის, სატელევიზიო და ფორმალური დებატების ხელოვნების თემაზე ორი ტრენინგი ჩატარდა. სწავლების ფარგლებში განიხილებოდა: მედიასთან კომუნიკაციის ძირითადი პრინციპები და ტექნიკები, წარმატებული შეტყობინების ძირითადი ფაქტორები, რელევანტური მესიჯის შექმნა, ტრანსფორმაცია, აუდიტორიისათვის მისადაგება, არგუმენტირებული პოზიცია, დამარწმუნებელი კომუნიკაცია და სხვა.
- ევროკავშირის პროექტთან ,,სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერა“ თანამშრომლობით, საქართველოს პროკურატურის მენეჯერების სამი ჯგუფისთვის მენეჯერული რგოლის შესაძლებლობების გაძლიერების, ერთიანი სისტემის დანერგვის და ორგანიზაციის მართვის თემაზე სწავლებები ჩატარდა.
- საქართველო გენერალური პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი - ფინანსური ანგარიშგების ფორმები და მათი შევსების წესი. სასწავლო კურსი საჯარო სექტორში დასაქმებული იმ პირებისათვის იყო გათვალისწინებული, რომლებიც სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე უზრუნველყოფენ ფინანსური ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნების ფორმების მომზადებას და შევსებას. ეკონომიკური დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის სწავლება განხორციელდა ასევე შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის საკითხებზე. კურსი მიზნად ისახავდა მონაწილეებისთვის შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების გაცნობას, სამშენებლო სფეროში არსებული რისკების შეფასებას, სტანდარტებს მშენებლობასა და ინფრასტრუქტურულ პროექტებში, გარემოს დაცვის ასპექტებს სამშენებლო სექტორში, ნარჩენების მართვასა და სამუშაოების დაგეგმვას პრიორიტეტულობის მიხედვით. სასწავლო კურსს კომპანია საფკოს ექსპერტები უძღვებოდნენ. აღნიშნული ორგანიზაცია ბრიტანული შრომის უსაფრთხოების ორგანიზაციის IOSH – Institution of Occupational Safety and Health -ის ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში.
- ევროკომისიის დაფინანსებული პროექტის "სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ" (Training and Operational Partnership Against Organized Crime- TOPCOP) ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - პროექტის საკონტაქტო პირების შესაძლებლობების გაძლიერება.
- ევროკომისიის დაფინანსებით Erasmus+ პროგრამის Jean Monnet Project-ის „ევროკავშირის სამართლებრივი სახე“ (LFEU) განხორციელდა ოთხი სასწავლო აქტივობა,

რომელშიც პროკურატურის თხუთმეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ტრენინგები შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ევროკავშირის სამართლი, ასოცირების შეთანხმება, ევროკავშირის შრომის დირექტივები და საქართველოს შრომის კოდექსი, საჯარო შესყიდვების სამართლებრივი ჩარჩო ევროკავშირსა და საქართველოში.

➢ პროკურატურის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ზოგადი და იურიდიული ინგლისურის მიმართულებით სწავლება გიარა პროკურატურის 54 თანამშრომელმა.

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა 2021 წელს მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა უწყებებისა და დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ერთობლივ აქტივობებში, კერძოდ:

- ✓ ევროპის საბჭოს მიერ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თემაზე ჩატარებულ ვებინარში;
- ✓ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ორგანიზებით ჩატარებულ ტრენინგში თემაზე - შეზღუდული შესაძლებლობის სფეროს ინკლუზიური განვითარება;
- ✓ ევროკავშირის პროექტის ორგანიზებით ჩატარებულ აქტივობაში - გეოგრაფიული აღნიშვნების ბაზრის კონტროლი და სამართალდამცავი ორგანოების როლი;
- ✓ ფორუმში - ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ;
- ✓ რეგიონული ვორქშოფში თემაზე - „წითელი დროშები და ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონული სისტემები“;
- ✓ სემინარში თემაზე - „სისხლის სამართლის მსჯავრდების გარეშე ქონების კონფისკაცია“;
- ✓ Fauna & Flora International“-ის სახელით დაგეგმილ „ველური ბუნების დანაშაულის პლატფორმის“ ონლაინ შეხვედრაში.

თანამშრომელთა შრომითი კმაყოფილების კვლევა

2021 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის და სტატეგიული განვითრების დეპარტამენტმა შეაჯამა და გამოაქვეყნა პროკურატურის თანამშრომელთა შრომითი კმაყოფილების კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა თანამშრომელთა მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების შესწავლა პროკურატურის სისტემაში არსებული სხვადასხვა საკითხის შესახებ, როგორიცაა სამუშაო გარემო და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით კმაყოფილება, პროკურატურის სისტემაში არსებული სხვადასხვა სამსახურისა და საბჭოს ცნობადობა და მათი საქმიანობის შეფასება და ა.შ. კვლევის ფარგლებში რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით გამოიკითხნენ როგორც მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პირები, ასევე პროკურორები, გამომძიებლები, არაპროკურორი თანამშრომლები და სტაჟიორები. სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 466 თანამშრომელმა. კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი და ანონიმური. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნა საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის ფორმირების პროცესში.

სოციალური გარანტიები და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება

საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა მოტივაცია უწყების საქმიანობის პროდუქტიულობის და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამიტომ აუცილებელია თანამშრომელთა საჭიროებების და მოთხოვნილებების სწორად იდენტიფიცირება და მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა. თანამშრომელთა მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია მათი სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, სამსახურებრივი საქმიანობისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური პირობებით აღჭურვა. სწორედ ამ მიზნით საქართველოს პროკურატურაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

2021 წლის 4 აგვისტოს, საქართველოს გენერალური პროკურატურის შენობაში, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით გაიხსნა საქართველოს პროკურატურის ნივთიერი მტკიცებულებების საცავი, რომლის ანალოგი არც ტექნოლოგიური და არც ფუნქციური თვალსაზრისით საქართველოში არ არსებობს. საცავი, თავისი ტექნოლოგიური პარამეტრებით, სივრცეებით და აღჭურვილობით სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას ყველა სახის მტკიცებულების, მათ შორის ბიოლოგიური მასალის, ცეცხლსასროლი იარაღის, დოკუმენტური მასალების და ა.შ დაუზიანებლად და სათადანოდ შენახვის შესაძლებლობას იძლევა. საცავი სრულად მოიცავს 723 კვადრატულ მეტრს. აქვს საცავის მისაღები, თანამშრომლის სამუშაო სივრცე, ბიოლოგიური მასალის შესანახი სივრცე, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების შესანახი ოთახი და ძირითადი საცავი, რომელიც დაახლოებით 600 კვადრატულ მეტრს მოიცავს და ყველა სახის ნივთიერი მტკიცებულების სათანადოთ შენახვას უზრუნველყოფს.

საცავისთვის მუშავდება შესაბამისი ელექტრონული პროგრამა, რომელსაც ექნება ბმა სისხლის სამართლის გამოძიების ელექტრონულ პროგრამასთან-ქრიმქეისთან და კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულებების შესახებ პროგრამაში გაიცვლება ინფორმაცია.

სრული სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები ჩატარდა სენაკის რაიონული პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში. რაიონული პროკურატურის თანამშრომლებისთვის შეიქმნა თანამედროვედ მოწყობილი და განახლებული სამუშაო სივრცე. ოფისში ასევე მოეწყო სათანადო ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვილი არასრულწლოვნებზე მორგებული გამოკითხვის ოთახი და შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო.

სრული სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები ჩატარდა საჩხერის რაიონული პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში. რაიონული პროკურატურის თანამშრომლებისთვის შეიქმნა თანამედროვედ მოწყობილი, განახლებული და სათანადო ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვილი სამუშაო სივრცე.

სრული სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები ჩატარდა სიღნაღის რაიონულ პროკურატურაში. რაიონული პროკურატურის თანამშრომლებისთვის შეიქმნა თანამედროვედ

მოწყობილი, განახლებული და სათანადო ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვილი სამუშაო სივრცე.

2021 წელს განხორციელდა საქართველოს გენერალური პროკურატურის I, IV, VI, და VIII სართულების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, აღნიშნულ სართულებზე განთავსებულია სხვადასხვა დეპარტამენტები, შესაბამისად საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლებისთვის შეიქმნა თანამედროვედ მოწყობილი, განახლებული და სათანადო ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვილი სამუშაო სივრცეები.

საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად ინფრასტრუქტურული პროექტების მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

თანამშრომელთა მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია სოციალური გარანტიები და პირველ რიგში შრომის ანაზღაურება. 2018-2022 წლებში პროკურორებზე, გამომძიებლებზე და სხვა თანამშრომლებზე მოხდა თანამდებრობრივი სარგოს ზრდა 50-80 %-ით. ხელფასის ზრდის მიზანი არის პროკურატურის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების და სოციალური გარანტიების ევროკავშირის წევრი ქვეყნების პროკურორების ანაზღაურებასთან დაახლოება და მოსამართლეთა სოციალურ გარანტიებთან გათანაბრება.

გენერალური ინსპექციის მუშაობა

2021 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში ჩატარდა 22 სამსახურებრივი შემოწმება, პროკურატურის 29 თანამშრომლის მიმართ.

ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად გამოკვეთილი დისციპლინური გადაცდომების გათვალისწინებით:

- ✓ 2 თანამშრომელს გამოეცხადა შენიშვნა;
- ✓ 6 თანამშრომელს გამოეცხადა საყვედური.

2021 წელს :

- 4 თანამშრომლის მიმართ დადასტურებული იქნა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და შემოწმების დასრულებამდე პირადი განცხადებით დათხოვნილი იქნა საქართველოს პროკურატურიდან.
- 1 თანამშრომლის მიმართ დადასტურებული იქნა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და საქართველოს გენერალურ პროკურორთან არსებული კარიერის მართვის, ეთიკის და წახალისები საბჭოს გადაწყვეტილებით მიეცა რეკომენდაცია.
- 16 თანამშრომლის მიმართ არ დადასტურდა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და შეწყდა სამსახურებრივი შემოწმება.

2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში გამოძიება დაიწყო 14 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 პირის მიმართ, მათ შორის

- ✓ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით;
- ✓ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმოებაში არსებულ საქმეზე);
- ✓ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით;
- ✓ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით;
- ✓ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით;
- ✓ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;
- ✓ საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 4 სისხლის სამართლის საქმეზე 4 პირის მიმართ კერძოდ,

- ➢ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით;
- ➢ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით;
- ➢ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით;
- ➢ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ე“ ქვეპუნქტით.

გამოძიება შეწყდა 4 სისხლის სამართლის საქმეზე. ორ შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, ხოლო 2 შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის საქმიანობის მთავარი მიზანი არის პროკურატურის სისტემაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა, რაც ერთი მხრივ, ხელს უწყობს პროკურატურის, როგორც სახელმწიფო ინსტიტუციის გამართულად და შეუფერხებლად ფუნქციონირებას, მეორე მხრივ, საზოგადოებაში ინსტიტუციის მიმართ ნდობის ამაღლებას.

სათათბირო ორგანოები

,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად პროკურატურის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით არსებობს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი ორი სათათბირო ორგანო - კარიერის მართვის, ეთიკის და წახალისების საბჭო და სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო. აღნიშნული საბჭოების ფუნქციები განსაზღვრულია კანონით, ხოლო საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესი დარეგულირებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო

საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს - კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს, ერთ-ერთი უფლებამოსილებაა პროკურატურის თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომის, წახალისების და დაწინაურების საკითხების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა.

2021 წელს ჩატარდა კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს 7 სხდომა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა პროკურატურის თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომის, წახალისების და დაწინაურების საკითხები.

საბჭოს სულ განსახილველად წარედგინა 242 თანამშრომლის საკითხი, კერძოდ:

- მადლობის გამოსაცხადებლად საბჭოს წარედგინა 214 თანამშრომლის მონაცემი და საბჭომ რეკომენდაცია გაუწია 145 თანამშრომლის წახალისებას.
- დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნაზე საბჭოს წარედგინა 4 თანამშრომლის საკითხი და საბჭომ რეკომენდაცია გაუწია ოთხივე თანამშრომლისთვის სახდელის ვადამდე მოხსნას.
- დასაწინაურებლად საბჭოს წარედგინა 6 თანამშრომლის მონაცემი და საბჭომ რეკომენდაცია გაუწია 2 თანამშრომელს.
- დისციპლინური სახდელის დაკისრებისთვის საბჭოს წარედგინა 18 თანამშრომლის მონაცემი და საბჭომ რეკომენდაცია გაუწია 14 თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენებას, 1 თანამშრომლის მიმართ მიიღეს გადაწყვეტილება რეკომენდაციით მიმართვის შესახებ, 1 თანამშრომლის მიმართ მიიღეს გადაწყვეტილება საკითხის დამატებით შესწავლასთან და სახდელის გამოყენების საკითხის განხილვის სხვა დროისათვის გადადებასთან დაკავშირებით. საბჭომ მოისმინა ინფორმაცია 2 ყოფილი თანამშრომლის მიერ ჩადენილი გადაცდომის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურორმა გაითვალისწინა საბჭოს ყველა რეკომენდაცია.

სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო

საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს - სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს უფლებამოსილებაა პროკურატურის სისტემის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების და განვითარების გეგმის სრულყოფის, პროგრამებისა და სხვა საჭიროებების განსაზღვრის და სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე მისი სახელმძღვანელო პრინციპების, სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის შემუშავების და სრულყოფის საკითხების განხილვა და რეკომენდაციების გაცემა.

2021 წელს ჩატარდა საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს - სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს 8 სხდომა.

- საბჭოს ორი სხდომა ჩატარდა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით. სხდომებზე განხილულ იქნა საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის პროექტი.
- საბჭოს სხდომებზე განხილულ იქნა სისხლის სამართლის პოლიტიკის ახალი დოკუმენტი, საქართველოს პროკურატურის მენეჯერების შეფასების სისტემა, საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა შეფასების სისტემის პრობლემური საკითხები.
- საბჭოს მიერ მოსმენილ იქნა საქართველოს პროკურატურის ტერიტორიული და სტრუქტურული დანაყოფების 2021 წლის საქმიანობის ანგარიშები, პრიორიტეტული მიმართულებები და პრობლემური საკითხები.

ციფრული ტრანსფორმაცია

ანალიტიკური პორტალის მოდერნიზაცია

- 2020 წლის საქმიანობის ანგარიშში უკვე აისახა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს პროკურატურაში ფუნქციონირებს ციფრული პროდუქტი - ანალიტიკური პორტალი, რომელზე წვდომაც პროკურატურის თანამშრომლებს ლოკალური ქსელის საშუალებით შეუძლიათ და რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას თანამშრომელთა დატვირთვის მონიტორინგის ავტომატიზაცია წარმოადგენს. ხსენებული მექანიზმი ზედმიწევნითი სიზუსტით აღრიცხავს პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლის მიერ თითოეული სამართლებრივი დოკუმენტის ხელმოწერას, რის შემდეგაც პროგრამა ავტომატურად ახდენს თანამშრომელთა კატეგორიზაციას ნაკლებად, საშუალოდ და ძალიან დატვირთულ თანამშრომლებად. ანალიტიკური პორტალი განსაზღვრავს პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის დატვირთვის საშუალო ნიშნულს მომხმარებლისთვის საინტერესო საანგარიშო პერიოდთან მიმართებაში და ახდენს სტრუქტურულ დანაყოფებს შორის საშტატო ერთეულების ოპტიმალური გადანაწილების მოდელირებას.

  ანალიტიკურ პორტალში პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა დატვირთვის მოდულის მოდერნიზაციის მიზნით იგეგმება სეგრეგირებული კოეფიციენტების შემუშავება, რაც საჭიროებს შესაბამის ცვლილებებს როგორც პროგრამულ უზრუნველყოფაში, ასევე ციფრული მმართველობის სააგენტოსთან არსებულ ინფორმაციის გაცვლის სერვისში. სწორედ ამ მიზნით, განხორციელდა დასმული ამოცანების ტექნიკურ გადაწყვეტილებებად გარდაქმნისთვის საჭირო ბიზნეს პროცესების ანალიტიკა და შემუშავდა ტექნიკური დავალება, რაც რეალიზაციის მიზნით გაეგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ,,ციფრული მმართველობის სააგენტოს“.

- 2021 წელს საქართველოს პროკურატურის საპროკურორო საქმიანობისა და სტატეგიული განვითარების დეპარტამენტის და ანალიტიკურმა სამმართველომ ევროკავშირის პროექტის მიერ დაქირავებული ექსპერტის ჩართულობით დაიწყო სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის ბაზაზე Business intelligence გარემოს დანერგვისთვის ნიადაგის მომზადება, რომელიც ორგანიზაციის საქმიანობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასა და ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული რეფორმის ნაწილია.
  სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მონაცემთა ბაზაზე BI ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლებელი გახდება დიდი მოცულობის სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული მონაცემების დამუშავება, ანალიზი და მოკლე დროში ვიზუალიზაცია.
  2021 წელს ანალიტიკური სამმართველოს მიერ ექსპერტის მონაწილეობით მომზადდა არაერთი პროტოტიპი, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით გვაძლევს მონაცემების ცხადად დანახვის და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შემუშავებაში მისი გამოყენების საშუალებას. ხსენებული მოდელირებული მაკეტები (პროტოტიპები) აქტიურად გამოიყენებენ ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილ სისტემებს, როგორიც არის ექსტრაპოლაციის მოდელი და key influencers ფუნქციონალები. შემუშავებული მოდელები რეალურ მონაცემთა სიმრავლეს ბიზნეს-ანალიზისთვის ღირებულ ინფორმაციად გარდაქმნის. სამომავლოდ იგეგმება აღნიშნული პროტოტიპების მეშვეობით BI (business intelligence) ფუნქციონალური შესაძლებლობების ინტეგრაცია სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მონაცემთა ბაზაზე.

საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოს პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის ევროკავშირთან, ევროპის საბჭოსთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან. აღნიშნული თანამშრომლობა შეეხება პროკურატურის ინსტიტუციური გაძლიერებისა და რეფორმირების საკითხებს, მისი ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით.

საქართველოს პროკურატურა ყოველთვის ყურადღებით ეკიდება მითითებული ორგანიზაციების რეკომენდაციებს და კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მათ პრაქტიკაში იმპლემენტაციას. არსებობს სრული მზაობა მომავალში ამ ტიპის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების თაობაზე.

გარდა ზემოაღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციებისა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს პროკურატურა ასევე წარმოადგენს ცენტრალურ კომპეტენტურ ორგანოს სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებში. ამ

მიზნით, იგი აქტიურად თანამშრომლობს უცხო სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებთან დანაშაულის წანააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

- **GRECO-ს ანგარიში**

2021 წლის 22 მარტს, ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელწიფოთა ჯგუფმა (GRECO) დაამტკიცა მეორე ანგარიში საქართველოს შესახებ. მასში განხილულია GRECO-ს შეფასების მეოთხე რაუნდის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.

ანგარიშის თანახმად, GRECO-მ დააფიქსირა პროგრესი საქართველოს პროკურატურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გაცემული სამი რეკომენდაციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, მან სრულად შესრულებულად მიიჩნია ორი რეკომენდაცია, რომლებიც ეხება პროკურორების დანიშვნა-დაწინაურების წესების გაუმჯობესებას, ეთიკის კოდექსის განახლებას და დისციპლინურ საკითხებზე კომენტარების გამოცემას, ხოლო ნაწილობრივ შესრულებულად მიიჩნია მესამე რეკომენდაცია, რომელიც ეხება დისციპლინური გადაცდომების სიცხადის და სანქციების პროპორციულობის უზრუნველყოფას. მანამდე ეს რეკომენდაციები იყო შესაბამისად ნაწილობრივ შესრულებული და შეუსრულებელი.

გასათვალისწინებელია, რომ GRECO-ს პირველი ანგარიშის მიხევდით, რომელიც 2019 წლის მარტში დამკტიცდა, საქართველოს პროკურატურას შესრულებული ჰქონდა GRECO-ს ორი სხვა რეკომენდაცია. ისინი ეხებოდა პროკურატურის რეფორმირებას და საქმეთა განაწილების წესის გაუმჯობესებას.

ამრიგად, GRECO-ის პირველი და მეორე ანგარიშების მიხედვით, პროკურატურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გაცემული ხუთი რეკომენდაციიდან, საქართველოს პროკურატურას შესრულებული აქვს ოთხი რეკომენდაცია და ნაწილობრივ შესრულებული აქვს ერთი რეკომენდაცია.

GRECO-ს ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული პროგრესის მიღწევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტმა, გენერალურმა ინსპექციამ და ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტმა.

- **გაეროს დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის რეგიონთაშორისი ინსტიტუტის (UNICRI) კვლევა**

2021 წლის 28 აპრილს გამოქვეყნდა გაეროს დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის რეგიონთაშორისი ინსტიტუტის (UNICRI) კვლევა, რომელიც უკანონო ფინანსურ ნაკადებს და დანაშაულებრივი ქონების ჩამორთმევას ეხება.

კვლევის მიხედვით, ბოლო წლებში, საქართველომ კორუფციის, ორგანიზებული დანაშაულისა და უკანონო ფინანსური ნაკადების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და ამით პოზიტიური მაგალითი მისცა რეგიონს.

მასში ხაზგასმულია, რომ საქართველო ახორციელებს ეფექტიან საერთაშორისო თანამშრომლობას სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი დახმარების საკითხებზე. იგი აღნიშნავს, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მესამე ქვეყანაა ევროჯასტთან თანამშრომლობის მიმართულებით.

კვლევაში აგრეთვე საუბარია მის მომზადებაში საქართველოს პროკურატურის მიერ შეტანილ წვლილზე, რაც გამოიხატა გამოცდილებისა და მოსაზრებების გაზიარებაში.

კვლევასთან დაკავშირებით, გაეროს დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის რეგიონთაშორის ინსტიტუტთან (UNICRI) თანამშრომლობდა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველო.

- **ონლაინ მომსახურების მომწოდებლებთან თანამშრომლობა**

2016 წლიდან საქართველოს პროკურატურა უცხოური ონლაინ მომსახურების მომწოდებლებისგან რეგულარულად იღებს ელექტრონულ მტკიცებულებებს. ამ გზით მიღებული მონაცემები ძირითადად მოიცავს მომხმარებლის შესახებ ინფორმაციას და ცალკეულ შემთხვევებში ინტერნეტ ტრაფიკის (ტრანზაქციულ) მონაცემებს. პირველი უცხოური კომპანია, რომელმაც საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობა დაიწყო იყო Facebook, შემდეგ კი WhatsApp, Instagram, Apple, Western Union და MoneyGram.

2021 წლიდან კი საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობა ხუთმა ახალმა კომპანიამ დაიწყო: Paypal, Viber, ByteDance (TikTok), Binance და CEX.IO.

2021 წელს ონლაინ მომსახურების მომწოდებელი კომპანიებისგან ოცდაორ სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელდა წარმატებული თანამშრომლობა. ონლაინ მომსახურების მომწოდებელი კომპანიებმა 2021 წელს საქართველოს პროკურატურის მოთხოვნების 85 % დააკმაყოფილეს და აღსანიშნავია რომ, ყველა სხვა შემთხვევაში უარის მიზეზი მონაცემების არარსებობა იყო და საქართველოს პროკურატურისთვის ონლაინ მომსახურების მომწოდებელ კომპანიებს ადამიანის უფლებების ან სხვა სამართლებრივი გაუმართაობის გამო თანამშრომლობაზე უარი არცერთ საქმეზე არ უთქვამთ.

- **ექსტრადიცია**

2021 წელს უცხო სახელმწიფოებმა დააკმაყოფილეს საქართველოს გენერალური პროკურატურის თოთხმეტი ექსტრადიციის შუამდგომლობა. არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ორი შუამდგომლობა (ორმაგი დასჯადობის არარსებობის მიზეზით).

აღნიშნულ პერიოდში გაიგზავნა ექსტრადიციის ცხრამეტი შუამდგომლობა. ამ მხრივ არსებითი ცვლილება არ მომხდარა 2020 და 2019 წლის ანალოგიურ პერიოდებთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს უცხო სახელმწიფოებმა ექსტრადიცია დააკმაყოფილეს რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეზე.

რაც შეეხება საქართველოდან უცხო სახელმწიფოებში პირების ექსტრადიციას, ბოლო წლებში სასამართლოებში ექსტრადიციის საქმისწარმოების ეფექტიანობა სტაბილურად იზრდებოდა. ეს ტენდენცია შენარჩუნდა 2021 წელსაც და მეტიც, დაფიქსირდა ეფექტიანობის ზრდა წინა წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში სულ ოთხმოცდაორი ექსტრადიცია იქნა დასაშვებად ცნობილი, +32.2% ზრდა 2020 წელთან (62 საქმე) შედარებით და +30.2% ზრდა 2019 წელთან (63 საქმე) შედარებით.



ზრდის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორები იყო თანამშრომლების მოტივაციის სქემების დანერგვა და პროცესების ოპტიმიზაცია.



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2021 წელს ექსტრადიციის შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი იყო 100%.

- **საერთაშორისო სამართლებრივი დახმარება**

2021 წელს საქართველოს საგამოძიებო ორგანოებმა საერთაშორისო სამართლებრივი დახმარებისთვის 179 საქმეზე მიმართეს უცხო სახელმწიფოებს, ხოლო საქართველოს პროკურატურამ უცხო სახელმწიფოებისგან საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების 1410 შუამდგომლობა მიიღო.

- **პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია IAP**

საქართველოს პროკურატურა 2015 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციასთან. 2018 წლიდან კი ასოციაციის აღმასრულებელ კომიტეტში პროკურატურას ყავს წარმომადგენელი, რაც ადასტურებს უწყების მზაობას სისტემაში საერთაშორისო გამოცდილების აქტიურად დანერგვისთვის.

2021 წლის 30 ოფიციალური სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის დელეგაცია ასოციაციის პრეზიდენტის, გენერალური მდივნის და სხვა წევრების შემადგენლობით. ვიზიტის ფარგლებში განხილული იყო 2022 წლის 25-29 სექტემბერს თბილისში დაგეგმილი პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის 27-ე წლიური კონფერენციის და გენერალური შეხვედრის შინაარსობრივი და ორგანიზაციული საკითხები. აღნიშნულ კონფერენციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პროკურატურების ასეულობით დელეგატი დაესწრება. საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციის ფარგლებში, მონაწილე

სახელმწიფოები ერთმანეთს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებულ ცოდნას და გამოცდილებას გაუზიარებენ.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის მიზანია მოწმისა და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

საქართველოს პროკურატურისა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, კოორდინატორები მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სწავლებებს. კოორდინატორებმა გაიარეს სპეციალიზაციის კურსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებში და ასევე გადამზადდნენ ოჯახური დანაშაულის საკითხებზე.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის და სტატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მიერ შემუშავდა ტექნიკური ამოცანა, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში პროკურორის მიერ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სუბიექტად დამატების ფუნქციას. 2021 წლის პერიოდში გაუმჯობესდა ანალიტიკურ პორტალზე კოორდინატორის სამსახურის მონაცემების პროგრამული დამუშავებაც.

2021 წლის განმავლობაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლების შეთავაზება პროკურორების მიერ განხორციელდა 28 სტრუქტურულ ერთეულში 466 დაზარალებულთან. მათ შორის, ისეთ რაიონულ პროკურატურებში, სადაც არ ფუნქციონირებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური. ასეთი რაიონები იყენებენ საოლქო პროკურატურების მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის რესურსს, რაც კარგი პრაქტიკაა.

აღსანიშნავია, რომ 466 დაზარალებულიდან, რომლებსაც პროკურორმა შესთავაზა საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა, 320 (68%) იყო ბრალდებულის მეუღლე (მათ შორის განქორწინებული), 15% მშობელი, 11% შვილი და 6% სხვა.

50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოსაფიქრებელი ვადა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაცია სულ შეთავაზებული იქნა 466 დაზარალებულისთვის, აქედან 196-მა (42%) შეთავაზებაზე განაცხადა უარი, ხოლო 270-მა (58%) დაზარალებულმა გამოთქვა სურვილი ისარგებლოს სამ დღიანი მოსაფიქრებელი ვადით და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციით. შეთავაზების ოქმში

დაფიქსირებული უარის მიუხედავად, 22 შემთხვევაში პროკურორის დავალებით დაზარალებულს მაინც გაესაუბრა კოორდინატორი. აქედან ოთხმა დაზარალებულმა კონსულტაციის შემდეგ მისცა ჩვენება, 16-მა არ მისცა, ხოლო ორ შემთხვევაში სასამართლო სხდომა ამ დროისთვის არ ჩატარებულა.

270 დაზარალებულიდან, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შეთავაზებაზე, კოორდინატორთან კონსულტაციის და მოსაფიქრებელი ვადის შემდეგ, სასამართლო პროცესზე ბრალდებულის საწინაღმდეგოდ ჩვენება მისცა 77-მა დაზარალებულმა, ჩვენება არ მისცა 150-მა, ხოლო 43 მათგანის შემთხვევაში მონაცემთა დამუშავების ეტაპისთვის არ იყო ჩატარებული სასამართლო სხდომა, ამიტომ მათი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია მომდევნო თვეების ანგარიშში აისახება.

პროკურატურა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა რესურსის გამოყენებით, მათი მაქსიმალური ჩართულობით მომავალში კიდევ უფრო აქტიურად შეეცდება საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობის გამოყენებას, რათა ოჯახური დანაშაულის დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმამდე მოხდეს მათი ინფორმირება მოსალოდნელი შედეგების, ხელახალი ვიქტიმიზაციის არსებული საფრთხეების თაობაზე და ასევე მაქსიმალურად გამოირიცხოს არაინფორმირებული ან დაზარალებულზე შესაძლო უკანონო ზემოქმედების მიზეზით დაზარალებულის მიერ მისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღება.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, 2021 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებთან სამუშაო შეხვედრა გამართა და საკუთარი გამოცდილება გაუზიარა ამერიკელმა ექსპერტმა დევიდ მარტინმა, რომელმაც პოზიტიურად შეაფასა საქართველოს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობა.

2021 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით ისარგებლა 5280-მა მოქალაქემ.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ 2021 წელს განხორციელდა 19241 აქტივობა. მოწმეებისა და დაზარალებულების საჭიროების გათვალისწინებით, კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად განახორციელეს ქვემოთ მოცემული აქტივობები.

კოორდინატორების მიერ ხშირად განხორციელებული ქმედებები



2021 წელს კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად დახმარება გაუწიეს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების მოწმეებსა და დაზარალებულებს:



საჯარო ინფორმაციის გაცემა

საქართველოს პროკურატურაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 372 განცხადება.

წარმოდგენილი განცხადებებიდან საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად სრულად გაიცა 222 შემთხვევაში, 49 შემთხვევაში განცხადება ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული, 9 შემთხვევაში წარმოდგენილი განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, 82 შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, 2 შემთხვევაში წარმოდგენილი განცხადება დატოვებული იქნა განუხილველად, 8 განცხადებაზე კი, მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება.

2021 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებები



საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს:

- 24 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მოთხოვნა უკავშირდებოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებასა და პირის სისხლისსამართლებრივ დევნას;
- 5 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია სცილდებოდა საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილების ფარგლებს;
- 23 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილ იყო სხვა პირის პერსონალური მონაცემები და აღნიშნულ შემთხვევაში, საქართველოს პროკურატურის უარი ეფუძნებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37[1] და 44-ე მუხლების და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვის ინტერესს;
- 30 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა საქართველოს პროკურატურაში დაცულ, დამუშავებულ, შექმნილ ან/და გაგზავნილ ინფორმაციას.

2021 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გამო 1 ადმინისტრაციული საჩივარი იყო წარდგენილი, რომელიც არ დაკმაყოფილდა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ნაწილობრივ უარის თქმისას საქართველოს პროკურატურის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ დაინტერესებული პირის მოთხოვნა ნაწილობრივ უკავშირდებოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებასა და პირის სისხლისსამართლებრივ დევნას, ასევე, პირის პერსონალური მონაცემების გასაჯაროებას. ამასთან, ნაწილობრივ მოთხოვნილ იქნა ისეთი ინფორმაცია, რომლის აღრიცხვას საქართველოს პროკურატურა არ აწარმოებდა. შესაბამისად,

დაინტერესებულ პირს მიეწოდა საქართველოს პროკურატურაში დაცული ინფორმაცია და ასევე ის ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად მიჩნეულია საჯარო ინფორმაციად.
განუხილველად იქნა დატოვებული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარმოდგენილი ის განცხადებები, რომლებიც არ პასუხობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე და 83-ე მუხლების მოთხოვნებს.
საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 2021 წელს არ გამოვლენილა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა და ინფორმაციის გავრცელება

საქართველოს პროკურატურისთვის საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. შესაბამისად საქმიანობის გამჭირვალობის და საზოგადოებისთვის წინაშე ანგარიშვალდებულების მიზნით ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებისთვის პროაქტიულად ახდენს ინფორმაციების გავრცელებას, როგორც ზოგადი სტატისტიკის, მიმდინარე ტენდენციების, ასევე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ.
აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს პროკურატურის მიერ ბოლო წლებში გავრცელებული პრესრელიზების, ვიდეოკომენტარების და ჩატარებული ბრიფინგების რაოდენობა.

- 2020 წელს საქართველოს პროკურატურამ გაავრცელა 334 პრესრელიზი, ჩაატარა 14 ბრიფინგი და გააკეთა 27 ვიდეო კომენტარი/ვიდეოკლიპი.
- 2021 წელს პროკურატურამ გაავრცელა 365 პრესრელიზი, ჩაატარა 16 ბრიფინგი, გააკეთა 59 ვიდეოკომენტარი/ვიდეოკლიპი და გაავრცელა 42 ვიდეო მასალა.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათან თანამშრომლობა

- საქართველოს პროკურატურის ინიციატივით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა იურიდიული ფაკულტეტების ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებში მოწვეული პირები პროკურატურის საქმიანობის სტრატეგიულ და პრიორიტეტულ მიმართულებებს, საქართველოს პროკურატურაში მიმდინარე პროექტებს და არსებულ სტაჟირების სისტემას გაეცნენ. შეხვედრაზე ასევე, იმსჯელეს ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებასა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის საქართველოს პროკურატურაში პრაქტიკის გავლის ხელშეწყობაზე.
- საქართველოს პროკურატურის ინიციატივით, შეხვედრა გაიმართა საქართველოში არსებულ სტუდენტურ ორგანიზაციებთან. სტუდენტური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პროკურატურის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებზე, პროკურორის პროფესიაზე და მათთვის საინტერესო სხვა საკითხებზე მიიღეს

ინფორმაცია. ასევე, შეხვედრის ფარგლებში, სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი მიმართულებებით სამომავლო თანამშრომლობა დაიგეგმა.

- საქართველოს პროკურატურამ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სტუდენტური ორგანიზაციების მომართვის საფუძველზე თერთმეტი აქტივობა განახორციელა, რომლებშიც ხუთასზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა. შეხვედრების ფარგლებში პროკურორებმა სტუდენტებს გააცნეს პროკურატურის, როგორც ინსტიტუციის არსი, როლი და ფუნქციები, ასევე, ისაუბრეს პროკურატურის სისტემაში დასაქმების მათ შორის სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის შესახებ და საქართველოს პროკურატურის პრიორიტეტულ მიმართულებებზე.
- საქართველოს პროკურატურამ ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია - საქართველოსთან (ELSA Georgia) თანამშრომლობით, განახორციელა პროექტი - „შეჯიბრი მოწმის დაკითხვაში“ (Witness Interviewing Competition). პროექტის ფარგლებში, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების და ახალგაზრდა იურისტებისგან დაკომპლექტებული ორ წევრიანი გუნდები ერთმანეთს სასამართლო პროცესზე მოწმის დაკითხვის სიმულაციურ პროცესში ეჯიბრებოდნენ. დასკვნითი შეჯიბრის შედეგად გამარჯვებულ გუნდს და პროექტში ჩართულ ყველა მონაწილეს, მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცა.

საპროკურორო საბჭოს რეკომენდაციების შესრულება

2021 წლის 15 იანვარს საპროკურორო საბჭომ შემდეგი რეკომენდაციით მომართა საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- საქართველოს პროკურატურის პროკურორებსა და გამომძიებლებს და საქართველოს საერთო სასამართლოების წარმომადგენლებს შორის გაიმართოს სამუშაო შეხვედრები მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების თემატიკაზე.

2021 წლის 30 ივნისს საქართველოს პროკურატურაში მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს ფორმატში პროკურორებს, მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე -აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკა, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების ხარისხის ზრდა და ამ მიმართულებით ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

2021 წლის 14 დეკემბერს მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს ფორმატში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში უწყვეტი სასამართლო განხილვის პრინციპის გამოწვევებზე გაიმართა პროკურორების, მოსამართლეების და ადვოკატების შეხვედრა. შეხვედრის მონაწილეებს შორის გაიმართა დისკუსია, მხარეებმა ერთმანეთს მოსაზრებები გაუზიარეს და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების საჭიროებასა და მათი განხორციელების სამომავლო გეგმებზე შეთანხმდნენ.

- საქართველოს პროკურატურის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს ოჯახურ დანაშაულებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და განხილულ იქნეს შესაძლებლობები ამ ტიპის დანაშაულებში ბრალდებულ პირთა მიმართ, პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებისა და წახალისების თაობაზე, არსებული მკაცრი პოლიტიკის შენარჩუნებით.

ოჯახში ძალადობასა და ოჯახური დანაშაულების საქმეებთან დაკავშირებით 2021 წელს განახლდა სახელმძღვანელო მითითება ,,ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ და ამ ეტაპზე მუშავდება სახელმძღვანელო მითითება „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა და 126 პრიმა მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ“.

- საქართველოს პროკურატურის მიერ გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, რომელიც მიმართული იქნება, ნაფიც მსაჯულთა მიერ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეებზე პროცესების გაჭიანურების მიზეზების იდენტიფიცირებისა და შემდგომ მათი აღმოფხვრისკენ.

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესები რიგ შემთხვევებში თვეების განმავლობაში მიმდინარეობს, რასაც ძირითადად მსაჯულთა შერჩევის პროცესების ხანგრძლივობა განაპირობებს. შერჩევის პროცესების გაჭიანურების ძირითადი მიზეზი მსაჯულთა გამოცხადების დაბალი მაჩვენებელია.

2021 წელს, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის უფრო ეფექტიანად მუშაობის მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, რომელთა შემუშავებაშიც პროკურატურამ მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო. კერძოდ, 2021 წლის 28 ივნისის კანონით შესაბამისი ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 31-ე (უარი ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე), 184-ე (სათადარიგო მოსამართლე), 221-ე (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის შედგენა), 223-ე (ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, აცილება და თვითაცილება) და 236-ე (ნაფიც მსაჯულთა (სათადარიგო მსაჯულთა, მსაჯულობის კანდიდატთა მოვალეობანი) მუხლებში.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლიდან ამოღებული იქნა მე-11 ნაწილი, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარეებს აღარ ექნებათ დამატებითი აცილებების გაცხადების უფლება ერთზე მეტი ბრალდებულის არსებობის პირობებში.

საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გადაინაცვლა ნაფიცი მსაჯულის და ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ შესაბამისი მოვალეობების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხმა.

მსაჯულთა შერჩევის პროცესების გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზია ასევე საზოგადოების დამოკიდებულება და ცნობიერება, რომლის გაუმჯობესებისა და ამაღლების მიზნით საქართველოს პროკურატურამ ამერიკის შეერთებული შტატების სააელჩოს მხარდაჭერით კამპანია ,,გახდი ნაფიცი მსაჯული დაიწყო“.

სამომავლო გეგმები

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2022 წლის დასაწყისში დამტკიცდება საქართველოს პროკურატურის განვითარების 2022-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. საქართველოს პროკურატურის მიზანია, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა პასუხობდეს, ერთი მხრივ, საქართველოს პროკურატურის წინაშე არსებულ ახალ გამოწვევებს, ხოლო მეორე მხრივ, შეესაბამებოდეს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების თანამედროვე სტანდარტებს. პროკურატურის ახალ სტრატეგიაში წარმოდგენილია უწყების განვითარების ხედვა, პრიორიტეტული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები. სტრატეგიის შემუშავებაში, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო პროკურატურის თითქმის ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა.

2021 წლის აპრილში სტრატეგიის პირველადი ვერსია განსახილველად წარედგინა საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს.

2021 წლის სექტემბერში, ევროპის საბჭოს თბილისის ოფისის მხარდაჭერით სტრატეგიის პროექტზე მომზადდა საექსპერტო შეფასება.

2021 წლის ნოემბერში, სტრატეგიის პროექტზე კომენტარები მოამზადა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლობამ.

მიღებული შეფასებების და რეკომენდაციების საფუძველზე, სტრატეგიის განახლებული ვერსია 2021 წლის დეკემბერში კვლავ წარედგინა საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს.

ახალი სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება, დაზარალებულზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოება, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის მოქნილობის და ეფექტიანობის ზრდა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება. პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება კორუფციული დანაშაულის, კიბერდანაშაულის, ფულის გათეთრების, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე, არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა. ასევე პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს გენდერული პოლიტიკის გაძლიერება.

ინფრასტრუქტურული პროექტები

2022 წელს იგეგმება თბილისში, თბილისის რაიონული პროკურატურებისთვის თანამედროვე სტანდარტების ახალი შენობა მშენებლობის დაწყება. მშენებლობა განხორციელდება საქართველოს პროკურატურის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის შედეგად ბიუჯეტში მობილიზებული თანხებით. პროკურატურის ახალ შენობაში განთავსდება ვაკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუღურეთის, ისანი-სამგორის, ძველი თბილისის და გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურები. აღნიშნული რაიონული პროკურატურების თანამშრომლები დაახლოებით თერთმეტი წელია, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის შენობაში გამოყოფილ ოთახებში მუშაობენ.

პროკურატურის ახალ შენობაში ასევე განთავსდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროკურატურის სასწავლო ცენტრი.

საქართველოს პროკურატურის ახალი შენობის პროექტი თანამშრომელთა თანამედროვე სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, რაც პროკურატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. 2022 წელს გაგრძელდება საქართველოს პროკურატურის ოფისების განახლება და თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება.